# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 19 ნოემბერი 2003 №220 (1991) | ფასი 50 თეთრი



# ეს კაცი გვირჩევს ამ კაცს



## რევაზ ჭოხონელიძის კანდიდატურა: ჩეზარე მალდინი

იტალიური „მილანის" ქართველი სელექციონერის რევაზ ჭოხონელიძის რჩევა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას: იქნებ სცადოთ და მოლაპარაკება წამოიწყოთ ჩეზარე მალდინისთან. ამ საქმეში მეც დაგეხმარებით. ჩეზარე ის მწვრთნელია, რომელსაც საქართველოს ნაკრებისთვის ბევრი სარგებლის მოტანა შეუძლია.

ინტერვიუ რევაზ ჭოხონელიძესთან იხილეთ მეოთხე გვერდზე



# პლეი ოფლის ბოლო წვეთი




მანამ არ აუდგეთ რუსებს გვერდები, სანამ რაიან გიგზის დისკვალიფიკაციას ელირსებიან — საქართველოს პრეზიდენტის დარად განაცხადა გუშინ უელსის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტმა დევიდ კოლინზმა. შევარდნაძის ოპონენტებს ვინძლო, აუდგეთ კიდეც, მაგრამ რუსები რომ უეფელებმა ხახამშრალი დატოვეს, გუშინ საღამოსვე გაცხადდა.

რუსეთ-უელსის შაბათის მატჩის ვიდეოფირი ყურადღებით ნახეს ლენარტ იუჰანსონის ქვეშევრდომებმა და დაასკვნეს: მართალია, რაიან გიგზმა ვადიმ ევსეევს წაუმუჯლუგუნა, მაგრამ არც რუსი ჩანდა მამა აბრამის ბატკანი, წაიმსახიობა. მოკლედ, დღეს კარდიფის „მილენიუმზე" გიგზს თამაშის ნება დართეს, ოღონდაც, რუსთა თავის მოსაქონად დასძინეს — ამ ამბავს უფრო წვრილად 4 დეკემბერს სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე გავარჩევთო.



გუშინ ჰოლანდიელთა თავდამსხმელი ანდი ვან დერ მეიდე ამსტერდამში ჟურნალისტებს შოტლანდიელთა დამარცხების ხერხებზე ებაასებოდა, როცა გონი დაკარგა და მოსასულიერებელი შეიქნა. მიზეზი სატელესტუდიო განათების სითბურობა ყოფილა.

## ლატვია რომ დიდ ომშია, საქართველო გოლოშია

გულშეღონებული და მოსასულიერებელი სტამბოლში ვიკითხოთ, თუ ლატვიამ თურქეთს ალიყური აჭამა და ევრო-2004-ის მიღმა დატოვა. საამისოდ კი ბალტიისპირელებს იმ ჯოჯოხეთის გამოვლა მოუწევთ, „ინენზე" რომ ელით და აქ უნდა ვახსენოთ შვედი ანდერს ფრისკი, სტამბოლური შეხლის მთავარი მომრიგე, მსაჯი, რომელიც თურქებმა ჯერ კიდევ მატჩამდე გაჰკენწლეს და რაღა იქნება გვირაბის ბოლოს?

დღეს ევრო-2004-ის შესარჩევი ეტაპის პლე ოფის საპასუხო მატჩებია, ნაშუალამევს საპორტუგალიო თექვსმეტეული სრულად გვეცოდინება.



საქართველოს პირველი ლიგა | 15 ჩემპიონატი | პირველი წრე

# 14 ტური

# ოთხი დავწერეთ და შეგვეშინდა

პაატა კედია

**თბილისი. 18 ნოემბერი. 15 საათი. ეროვნული. 200 მაყურებელი**

## ამერი 1:0 გურია

1:0 გოცირიძე (34)

ამერი: ასლანაძე, კედელაშვილი, ჩიხრაძე, დავითნიძე, ელბაქიძე, გარუჩავა (ბერიანიძე 75), განუგრავა, ვერემჩუკი, კილასონია, რუსია (კუსრაშვილი 44), გოცირიძე (მჭედლიშვილი 81)
მწვრთნელი: გაიოზ დარსაძე

გურია: მერკვილიშვილი, რ. კუკულაძე, თოფურია, აბრამიშვილი, ფაცურია, ორაგველიძე, ხულაკაძე (ხოფერია 72), გურამ იმნაიშვილი, ხუნაშვილი, ენდელაძე, ტ. კუკულაძე
მწვრთნელი: რამაზ ფირცხალაიშვილი

გაფრთხილება: ტ. კუკულაძე (32), რ. კუკულაძე (38), კილასონია (76), ხუნაშვილი (79)

მსაჯები: გ. ვადაჭკორია; დ. ხარიტონაშვილი, დ. კურტანიძე; ა. შალამბერიძე

ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ეს გვგონია: „ამერმა" ზედიზედ მეორე მატჩი მოიგო და თუ მანამდე ნათამაშევ სამ ფრესაც მივათვლით, ზედიზედ ხუთი წაუგებელი თამაში გამოუდის, ეს ერთი. მეორე — ეს ორი თამაში ახალშექმნილმა გუნდმა „დინამო 2-ს" და „გურიას" მოუგო — დაგვეთანხმებით, კარგად ჟღერს და თავად ფეხბურთელებსაც უთუოდ ამხნევებს. მესამე — ზედიზედ სამი ფრე ყვითლებმა „სამგურალთან", „ოლიმპთან" და „ვიტ ჯორჯიასთან" ითამაშეს, ესენი კი საქართველოს პირველ ლიგაში სერიოზული გუნდები გახლავან. მეოთხე — შედეგები შედეგებად და, ადრეულ შემოდგომასთან შედარებით, „ამერი" გაცილებით უკეთ თამაშობს. და მეხუთე — ჩვენი დაწერილი წინა ოთხი პუნქტი რომ გადავიკითხეთ, შეგვეშინდა, „იუვენტუსი" ხომ არ აღვწერეთო. არადა, მთლად ეგრეც არ არის საქმე.

... „ამერსა" და „გურიას" შორის, საერთო ჯამში, თანაბარი თამაში შედგა. ისე, კაცმა რომ თქვას, ნებისმიერ ნათქვამს მოეძებნება კონტრნათქვამი. კერძოდ, „ამერის" ბანაკიდან ვინმემ საკუთარი ბლოკნოტისკენ რომ მიგვითითოს, სახიფათო მომენტები დათვალე, ვის მეტი ჰქონდაო, იძულებული ვიქნებით, ვაღიაროთ, რომ მომენტები თუ ნახევარმომენტები მასპინძლებს მეტი ჰქონდათ, უფრო სწორად, სტუმრებს თითქმის არ ჰქონიათ, მაგრამ თამაში ხომ მარტო ის არ არის, რაც საჯარიმოში ხდება. თან ის, რაც „გურიას" საჯარიმოში მეტად თუ ნაკლებად ხდებოდა, თბილისელებს კიდევ ერთხელ რომ გამოეყენებინათ, ხმას ვინ ამოიღებდა, ასე კი გამოვიდა, რომ „ამერმა" ერთი გოლი გაიტანა და ისიც მეკარის შეცდომის გამო: მარჯვენა ფრთიდან დიმიტრი ვერემჩუკის ჩაწოდებულს „გურიას" მეკარე, რაჟდენ მერკვილიშვილი თავიდან თითქოს სწორად გამოუვარდა, მაგრამ ბოლოს აღმოჩნდა, რომ მათი გზები რაღაც უშნოდ გადაიკვეთა და საბოლოოდ ბურთი „ამერის" თავდამსხმელს, ჩასაფრებულ ბექა გოცირიძეს ჩაუვარდა. გოცირიძემ შანსი არ გაუშვა.

სხვა მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ იყო თამაშის მონაკვეთები, როდესაც ბურთს და უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ და იყო მონაკვეთები, როდესაც ეს ყველაფერი სტუმრებისა იყო.

მატჩის შემდეგ *„გურიას" მწვრთნელმა რამაზ ფირცხალაიშვილმა* განაცხადა: „მართალია, წავაგეთ, მაგრამ თავად თამაში კარგი გამოვიდა. ჩვენი წაგება მეკარის შეცდომამ გამოიწვია, სხვა ფეხბურთელების მიმართ საყვედური არ მეთქმის. საერთოდ, ფეხბურთი ის სპორტია, სადაც თამაშის ხარისხი პირობებზე და დაფინანსებაზეა დამოკიდებული, ამიტომ „გურიას" აღორძინება პირდაპირ უკავშირდება პატრონის გამოჩენას ან არგამოჩენას. ამ თბილისში რომ მიმოიხედავ, ყველა მაღალი თანამდებობა ლანჩხუთელს უჭირავს და რომელიმე ჩვენკენაც თუ გამოიხედა, ძალიან კმაყოფილი დავრჩებით.

*გაიოზ დარსაძე, „ამერის" მწვრთნელი:* დღეს ჩვენი გუნდის ახალგაზრდა ფეხბურთელებმა სახელოვან „გურიასთან" მიიღეს ფასდაუდებელი გამოცდილება. ვიმეორებ, როგორც ადრე, ჩვენთვის ამჯერადაც ეს არის ყველაფერზე მთავარი, თუმცა ვაღიარებ, რომ ჩემპიონატის ამ ეტაპზე სამმა ქულამაც ძალიან გამახარა. განსაკუთრებით პირველი ტაიმით დავრჩი კმაყოფილი, თუმცა მეორეშიც იყო ზოგი ისეთი რამ, რაც მომეწონა. „გურიას" კორექტული თამაშისთვის მადლობას ვუხდი.

**ლოკომოტივი 2 2:1 ცხინვალი**

**ქობულეთი 1:2 იბერია**

**თსუ 3:0 ლუკა**

**ჩიხურა 4:2 დინამო 2**

**გორდა 1:3 ვიტ ჯორჯია-მცხ.**

**მილანი 1:0 ოლიმპი**

**მეტალურგი 0:4 სამგურალი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქობულეთი | 14 | 10 | 1 | 3 | 25:11 | 31 |
| სამგურალი | 14 | 8 | 4 | 2 | 19:7 | 28 |
| ცხინვალი | 14 | 7 | 4 | 3 | 24:9 | 25 |
| ოლიმპი | 14 | 7 | 4 | 3 | 21:14 | 25 |
| მილანი | 14 | 6 | 3 | 5 | 11:9 | 21 |
| გორდა | 14 | 6 | 3 | 5 | 14:15 | 21 |
| ამერი | 14 | 5 | 5 | 4 | 17:13 | 20 |
| ჩიხურა | 13 | 6 | 1 | 6 | 18:16 | 19 |
| ლოკომოტივი 2 | 14 | 6 | 1 | 7 | 13:17 | 19 |
| იბერია | 14 | 5 | 4 | 5 | 12:19 | 19 |
| ვიტ ჯორჯია-მცხ. | 13 | 4 | 6 | 3 | 11:10 | 18 |
| თსუ | 14 | 5 | 2 | 7 | 23:17 | 17 |
| გურია | 14 | 5 | 2 | 7 | 17:20 | 17 |
| დინამო 2 | 14 | 4 | 4 | 6 | 21:20 | 16 |
| ლუკა | 14 | 4 | 1 | 9 | 12:25 | 13 |
| მეტალურგი | 14 | 0 | 1 | 13 | 5:41 | 1 |



გუნდში ყველაზე უმცროსის, 15 წლის ბექა გოცირიძის პირველი ამერული გოლი

# ბარგშეკრული დინამოს საიდუმლო

## ჩვენ და შუშაკი ერთად ვართ

*თბილისის „დინამო" გადახალისების, ცვლილებების წინაშეა და ეს პროცესი ალბათ პირველი წრის დასრულების შემდეგ დაიწყება. თუმც „დინამოში" არის ერთი იმ ფეხბურთელთაგანი, რომელთა გასხვისებას კლუბი ჯერ არ აპირებს – კულუარული ინფორმაციით (რომელიც ხშირად მართლდება), ᲓᲐᲕᲘᲗ ᲙᲕᲘᲠᲙᲕᲔᲚᲘᲐᲡ ამ ეტაპზე კლუბი არსად გაუშვებს. ეროვნული ნაკრებისა და „დინამოს" მარცხენაფლანგელს გუშინ ვესაუბრეთ*



**— უკვე სეზონნახევარია, „კოლხეთიდან" „დინამოში" გადახვედი — როგორ შეაფასებდი შენი კარიერის ამ პერიოდს?**

— ყველაფერი ნორმალურად მიდის. თავიდან გამიჭირდა „დინამოს" ძირითადში დამკვიდრება, მაგრამ ყველანაირად ვცდილობდი ამას. ივო შუშაკმაც დაინახა, რომ ძირითადში თამაში შემეძლო და შანსი მომცა. რაც „დინამოში" გადმოვედი, საგრძნობლად მოვუმატე თამაშს და ეროვნულ ნაკრებშიც მოვხვდი. მაგრამ კიდევ უნდა მოვუმატო — თუ კარგი გუნდი და კარგი ფეხბურთის თამაში გინდა, ეგრეა.

**— როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, „დინამო" შენს გაშვებას არ აპირებს...**

— კლუბის ხელმძღვანელობას ჩემთვის ჯერ არაფერი უთქვამს. არც სხვა გუნდებიდან მოსულა ვინმე პირადად ჩემთან.

**— თუ ახლა შემოგთავაზებენ სხვა გუნდში გადასვლას, წახვალ?**

— თუ შემომთავაზებენ, უკეთეს გუნდში გადასვლა ვის არ უნდა?! „დინამოში" კი კონტრაქტით კიდევ სეზონნახევარი უნდა ვითამაშო.

**— „დინამოს" ფეხბურთელთა უმეტესობას, ასე ვთქვათ, ბარგი შეკრული აქვს სხვა გუნდში წასასვლელად, მაგრამ ასეთი „დინამო" ჩემპიონატში მაინც ლიდერია, მაინც იგებს თამაშებს — როგორ ახერხებთ ამას?**

— „დინამო" ჩვენთვის ბევრს ნიშნავს — ჩვენ „დინამოს" სახელსაც ვუფრთხილდებით და არც საკუთარი სახელის გატეხა გვინდა — სანამ ერთად ვართ, რაც შეიძლება მეტს უნდა მივაღწიოთ.

**— შუშაკი რას გეუბნებათ, როგორ გამზადებთ ფსიქოლოგიურად?**

— განსაკუთრებული არაფერია, უბრალოდ, ფეხბურთელები და შუშაკი ერთად ვდგევართ.

**— „ტირანასთან" მარცხზე არ გკითხო, არ იქნება...**

— ევროტურნირზე ერთი ეტაპი მაინც რომ გაგვევლო, კარგი იქნებოდა, მეტი სტიმული მოგვეცემოდა, მაგრამ არ გამოვიდა და ყველაფერი ფეხბურთელებზე გადატყდა. ახლაც ვერ ვხვდები, რა იყო კონკრეტული მიზეზი „ტირანასთან" მარცხისა. როცა მეტოქე გჯობნის, ამას აღარაფერი ეშველება — ეს წმინდა საფეხბურთო მოვლენაა.

**— „დინამოში" შენი კონკურენტი არჩილ სახვაძეა. შუშაკს ბევრჯერ უთქვამს, შეტევაში სახვაძეს მცირე უპირატესობა აქვს კვირკველიაზეო, თუმც მწვრთნელი საბოლოო ჯამში შენ განიჭებს უპირატესობას — ფლანგურ ჩაწოდებებზე საგანგებოდ არ ვარჯიშობ?**

— თუ ვარჯიშზე დიდ დატვირთვას არ მოგვცემენ, ნავარჯიშევს ჩაწოდებებზე ვიწაფებით. კონკურენცია საჭიროა, უმაგისოდ თამაშს ვერ მოუმატებ, თორემ სახვაძე მართლაც კარგი ფეხბურთელია.

**— რა არის ფეხბურთელ დავით კვირკველიას ნაკლი და ღირსება?**

— საკუთარ თავს არ შევაფასებ. ჩემს პლუსებსა და მინუსებს ჩემში ვიტოვებ და ვაანალიზებ.

**— ეროვნულ ნაკრებში ხუთი მატჩი ჩაგიტარებია — კმაყოფილი ხარ საკუთარი თავის?**

— კმაყოფილი მაშინ ვიქნები, როცა ნაკრები რაიმეს მიაღწევს და ამაში წვლილს შევიტან. თუმც, ნაკრებში ჩემი გამოსვლით ნაწილობრივ კმაყოფილი ვარ — ეროვნულ გუნდში თამაში ხომ ყველა ფეხბურთელის ოცნებაა.

**— ფეხბურთის თამაშის გარდა კიდევ რისი კეთება შეუძლია კარგად დავით კვირკველიას?**

— ცოტ-ცოტა ყველაფრის, მაგრამ ფეხბურთივით კარგად არაფრის.

**ᲓᲐᲕᲘᲗ ᲗᲐᲕᲐᲠᲗᲙᲘᲚᲐᲫᲔ**

### ინგლისი

კონფერენსლიგა
გადადებული მატჩი

**ლეიფი 2:2 შრიუსბერი**

ასოციაციის თასი
I ეტაპი. გადათამაშება

**ლუტონი 3:1 ტიუროკი**

**სტელბრიჯი 0:2 ბარნეტი**

### გერმანია

სამხრეთ რეგიონალლიგა
XVIII ტური

**ერფურტი 0:3 ბაიერნი (მ)**

### ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი შესარჩევი ეტაპი

პლეი ოფი. საპასუხო მატჩები

**ნორვეგია 3:0 *სერბეთი* (1:5)**

**თურქეთი 1:1 *გერმანია* (0:1)**

**შოტლანდია 1:0 *ხორვატია* (0:2)**

**საფრანგეთი 1:2დ.დ.(1:2. 1:4 პენ) *პორტუგალია* (2:1)**

### ამხანაგური მატჩები

**სამხრეთ კორეა 0:1 ბულგარეთი**

**ეგვიპტე 1:0 შვედეთი**

**ირლანდია 3:0 კანადა**

საქართველოს 15 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
პირველი ეტაპი
# 18 ტური
მიმოხილვა

კოლხეთი 2:1 ლოკომოტივი
ტორპედო 2:0 მერცხალი
სპარტაკი 1:4 ვიტ ჯორჯია
დილა 5:1 მცხეთა
ბათუმი 0:0 სიონი
დინამო 3:0 თბილისი

მე-18 ტურმა ლიდერი ვერ შეცვალა – ბოლო დროს გაკერკეტებულმა „ბათუმმა" ჩემპიონის უახლოეს მდევარ „სიონს" ქულის მეტი არაფერი დაუთმო, ხოლო „დინამომ" სიმპათიური თანაქალაქელი გუნდი დაალილავა. ამბიციური რიხი დაიბრუნა „ვიტ ჯორჯიამ", თუმც ყვირილში ჟოაო კამპუშს განა ვინმე შეედრება? შინ თამაში თუ გვიშველისო, თქვა კამპუშმა და ქუთაისში „მერცხალს" მოატეხა ფრთები. ვერ გაიხარა რკინიგზამ – კოლო ფოთში ნოემბრის სუსხშიც დაფრინავს და იკბინება – „კოლხეთთან" თამაში „ლოკომოტივს" ტრადიციულად უჭირს. წინა ტურის ბოლნისურ-მესხური ბოლმა კი „დილამ" „მცხეთას" გადმოაფრქვია. დანარჩენი ბრეიკინგ-ნიუსები, ჩვენებურად, მჭექ-ამბები, კოლაჟურ ფოტო-ტექსტებში იხილეთ.



თბილისურ დერბში დინამოელი სანდრო იაშვილი საჯარიმოში კი წაიქცა, მაგრამ ეს პენალტი არ იყო

## ბომბარდირებში სულ იყო...


სამი ტურია, სულიკო დავითაშვილი საგოლედ ხელფეხშეკრულია

| ბომბარდირები | |
|---|---|
| 12 - დავითაშვილი | თბილისი |
| 11 - გონჩაროვი | სიონი |
| გოცირიძე | ვიტ ჯორჯია |
| 10 - კაკალაძე | ბათუმი |
| 9 - ა. ქაიდარაშვილი | დილა |
| 8 - ახალაია | დინამო |
| 7 - ვ. გოჩაშვილი | ვიტ ჯორჯია |
| 6 - გაბედავა | მერცხალი |
| გაბისკირია | სიონი |
| 5 - მელქაძე | დინამო |
| დარასელია | დინამო |
| ალექსიძე | დინამო |
| სულთანიშვილი | დილა |
| სირაძე | ლოკომოტივი |

ყველაზე უიღბლო
## ჩემი ბედი...

ნებისმიერი შეცდომა რა გინდ რკინის ნერვების მქონე კაცის განწყობაზეც აისახება-ხოლმე, მით უფრო, თუ ეს კაცი ახალგაზრდაა, მისი შეცდომა კი — უნებლიე.

„დინამოსთან" მატჩის 15-წუთიან მონაკვეთში „თბილისის" მეკარე მანუჩარ ივარდავას ისეთი დარდი შემოაწვა, რომ იტყვიან, გულს კი არა, ქვას გახეთქავდა. ჯერ იყო და, მანუჩარმა ბურდულის მიერ 40 მეტრიდან დარტყმულის მოგერიება ვერ შეძლო, მერე კი, „აჭრილმა", გოგობერიშვილისგან კუთხურის ნიშნულის სიახლოვიდან საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი გაუშვა. შესვენებაზე ის ნაჭყეპამ შეცვალა, თავად, ეტყობა, მწვრთნელის მოერიდა, სათადარიგოთა სკამის ნაცვლად ადგილი ტრიბუნაზე იპოვა, დასამშვიდებლად კი პირჯვარი გადაიწერა.

არადა, „დინამოსთან" მატჩით არც არაფერი დაწყებულა, არც დამთავრებულა. ლეგენდარული ლევ იაშინისთვის გოლი ცენტრიდანაც კი გაუტანიათ.



აქ სკოლა არ არის!


ნიკა ნადირაძე


გივი ქარქუზაშვილი

## ბავშვები ფეხბურთის შმაღლესში

რა არის ფეხბურთი? რა და, ბევრ რამეზე უარის თქმა. გორელი გივი ქარქუზაშვილი და ქუთაისელი ნიკა ნადირაძე სასკოლო ასაკისანი არიან. ჰოდა, რადგან ფეხბურთის გზას შეუდგნენ, ბევრი რამის საწორზე შეგდება მოუწევთ: ერთ მხარეს რომ ბურთი იქნება, მეორეზე ქუჩა და იქნებ სწავლაც. 15 წლის ქარქუზაშვილს ამ ტურში სულაც სადებიუტო შვიდი წუთი ჰქონდა „დილაში" — მან შეცვლაზე ითამაშა.

სიმბოლური ნაკრები

რატი ალექსიძე – დინამო
რევაზ გოცირიძე – ვიტ ჯორჯია
ბექა ჩიტაია – დილა
საბა სულთანიშვილი – დილა
დავით დიღმელაშვილი – ვიტ ჯორჯია
ალეკო გოგობერიშვილი – დინამო
გიორგი ადამია – ვიტ ჯორჯია
შოთა ბაბუნაშვილი – ტორპედო
მიხეილ ძოწულაძე – კოლხეთი
მიხეილ მახვილაძე – ტორპედო
ზურაბ მამალაძე – ბათუმი

გუნდი: კოლხეთი
მწვრთნელი: ივო შუშაკი დინამო

ჰეთ თრიქი
## რეზოს მიეცით...

თუ სამი საგოლე მომენტიდან ცენტრფორვარდი ორს აცუდებს და ერთს მიზანში სვამს, ურიგო არ არის. ვიტჯორჯიელ რევაზ გოცირიძეს „სპარტაკის" კარში ბარე ექვსი გოლი უნდა გაეტანა, მაგრამ სამს დასჯერდა, რითაც მის ჰეთ თრიქს ფასი სულაც არ დაჰკლებია. თანაც გოცირიძეს ისეთი ამხანაგი გამოუჩნდა, ფლანგური პასებით კარგად რომ ამარაგებს — ორი გოლი გოცირიძემ გიორგი ადამიას გადაცემებით გაიტანა.



| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | დინამო | 18 | 12 | 4 | 2 | 38:6 | 32 | 40 | 9 | 7 | 2 | 0 | 25:1 | 24 | 23 | 9 | 5 | 2 | 2 | 13:5 | 8 | 17 |
| 2 | სიონი | 18 | 10 | 7 | 1 | 26:11 | 15 | 37 | 9 | 7 | 2 | 0 | 17:6 | 11 | 23 | 9 | 3 | 5 | 1 | 9:5 | 4 | 14 |
| 3 | ვიტ ჯორჯია | 17 | 9 | 5 | 3 | 29:11 | 18 | 32 | 9 | 5 | 3 | 1 | 17:4 | 13 | 18 | 8 | 4 | 2 | 2 | 12:7 | 5 | 14 |
| 4 | დილა | 18 | 9 | 3 | 6 | 27:18 | 9 | 30 | 9 | 7 | 1 | 1 | 17:5 | 12 | 22 | 9 | 2 | 2 | 5 | 10:13 | -3 | 8 |
| 5 | თბილისი | 18 | 7 | 4 | 7 | 29:23 | 6 | 25 | 9 | 5 | 2 | 2 | 19:10 | 9 | 17 | 9 | 2 | 2 | 5 | 10:13 | -3 | 8 |
| 6 | ლოკომოტივი | 18 | 7 | 4 | 7 | 26:21 | 5 | 25 | 9 | 6 | 2 | 1 | 17:6 | 11 | 20 | 9 | 1 | 2 | 6 | 9:15 | -6 | 5 |
| 7 | ტორპედო | 18 | 7 | 4 | 7 | 17:20 | -3 | 25 | 9 | 6 | 2 | 1 | 14:6 | 8 | 20 | 9 | 1 | 2 | 6 | 3:14 | -11 | 5 |
| 8 | ბათუმი | 17 | 7 | 2 | 8 | 21:19 | 2 | 23 | 8 | 4 | 1 | 3 | 11:7 | 4 | 13 | 9 | 3 | 1 | 5 | 10:12 | -2 | 10 |
| 9 | მცხეთა | 18 | 6 | 2 | 10 | 21:43 | -22 | 20 | 9 | 5 | 1 | 3 | 15:16 | -1 | 16 | 9 | 1 | 1 | 7 | 6:27 | -21 | 4 |
| 10 | კოლხეთი | 18 | 5 | 3 | 10 | 12:23 | -11 | 18 | 9 | 3 | 2 | 4 | 9:13 | -4 | 11 | 9 | 2 | 1 | 6 | 3:10 | -7 | 7 |
| 11 | სპარტაკი | 18 | 3 | 4 | 11 | 11:42 | -31 | 13 | 9 | 2 | 2 | 5 | 6:17 | -11 | 8 | 9 | 1 | 2 | 6 | 5:25 | -20 | 5 |
| 12 | მერცხალი | 18 | 2 | 4 | 12 | 16:36 | -20 | 10 | 9 | 1 | 3 | 5 | 5:10 | -5 | 6 | 9 | 1 | 1 | 7 | 11:26 | -15 | 4 |

# ეს კაცი გვირჩევს ამ კაცს

## რევაზ ჭოხონელიძის სანაკრებო კანდიდატურა: მალდინი



*იტალიური „მილანის" ქართველი სელექციონერის რევაზ ჭოხონელიძის რჩევა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას: იქნებ სცადოთ და მოლაპარაკება წამოიწყოთ ჩეზარე მალდინისთან. ამ საქმეში მეც დაგეხმარებით. ჩეზარე ის მწვრთნელია, რომელსაც საქართველოს ნაკრებისთვის ბევრი სარგებლის მოტანა შეუძლია.*

*მოგეხსენებათ, რევაზ ჭოხონელიძე იტალიურ საფეხბურთო სამყაროში ავტორიტეტით სარგებლობს, თავისი სიტყვა ეთქმის მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის, „მილანის" სელექციის საქმეში. მისი დამსახურებაცაა, მილანური მაისურით დღეს კახა კალაძე და ანდრეი შევჩენკო რომ თამაშობენ.*

*მოკლედ, რევაზ ჭოხონელიძეს ქართველი ქომაგისთვის, ვფიქრობთ, დიდი წარდგენა არ სჭირდება, საკმარისია, ვთქვათ, ის „მილანის" სელექციონერია, თავის კლუბსა და ზოგადად იტალიურ ფეხბურთში გათქვეფილი კაცი.*

*ჩვენ კი რევაზ ჭოხონელიძეს აქეთურ-იქეთური ამბების გამოსაკითხად გუშინ მილანში დავუკავშირდით.*




— საქართველოში მიმდინარე პროცესებზე ბევრი არ ვიცი, ჩემი ინფორმატორები კახა კალაძე და სიენენი არიან. ეს ტელეკომპანია სხვებზე ხშირად აშუქებს თბილისურ მოვლენებს, კახას კი თბილისიდან ურეკავენ და ახალ ამბებს ეუბნებიან. გული მწყდება, რომ საქართველოში კვლავ არეულობა დაიწყო.

**— კლუბში რას ამბობენ საქართველოზე?**

— „მილანი" სანახევროდ დაცლილი იყო. ფეხბურთელები თავიანთი ქვეყნების ნაკრებებში იყვნენ გამოძახებულნი. საქართველოში ეს ამბები რომ დაიწყო, კლუბიც იმ დროისთვის დაცარიელდა. ბაზაზე ერთი-ორი კაცი იყო. მათ კი საქართველოზე ბევრიც არაფერი იციან. ერთხელ „მილანის" მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ მკითხა, რა ხდება თქვენკენო, თუმც რაც არ ვიცოდი, რას ვეტყოდი? სიახლეები მეც კახასგან მესმის.

**— კახამ ვარჯიში უკვე დაიწყო?**

— გუნდს ამ საღამოს შეუერთდება და პირველად ივარჯიშებს. ფეხბურთელები, სამხრეთამერიკელების გარდა, უკვე დაბრუნდნენ და მზადება ძველებური გრაფიკით განახლდება. კახაც თავის საქმეს შეუდგება. მან ძალიან მძიმე ტრავმა გადაიტანა. სამი თვე იმკურნალა.

**— დიდი ხანი დასჭირდება ძირითად შემადგენლობაში დასაბრუნებლად?**

— ეს მის ფიზიკურ კონდიციებზეა დამოკიდებული. შესაძლოა, კახამ კვირასვე ითამაშოს „კიევოს" წინააღმდეგ, ყოველ შემთხვევაში, ანჩელოტის ასე სურს. 45 წუთით დაიწყებს კალაძე თუ ვერონაში სრულად ითამაშებს, ამას ველარ გეტყვით.

**— როგორ ფიქრობთ, არ გაუჭირდება ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრება?**

— კახას თავის პოზიციაზე კონკურენტი არ ჰყავს. დიახ, „მილანმა" სეზონის დაწყებამდე იყიდა პანკარო, მაგრამ ის კალაძის დონის ფეხბურთელი არ არის. პანკარო ყოველი შემთხვევისთვის გადმოვიბირეთ და როგორც ხედავთ, დაგვჭირდა, კახა გამოგვაკლდა და იმიტომ. ანჩელოტის კალაძის დიდი იმედი აქვს, გუნდის ერთ-ერთ წამყვან ფეხბურთელად თვლის. ექიმებს ყოველ მეორე დღეს მის ჯანმრთელობაზე ეკითხებოდა. ახლა კი, როგორც გითხარით, მწვრთნელი აღარც კი ელის, კახა ფორმას როდის აღიდგენს. კალაძე უნივერსალური ფეხბურთელია, დაცვის ნებისმიერ პოზიციაზე შეუძლია თამაში.

**— როგორ იქნება, „მილანის" სელექციონერს ახალ ფეხბურთელებზე არ ჰკითხო. წლეულს ერთი სერიოზული შენაძენი უკვე გააკეთეთ, კაკა იყიდეთ. კიდევ ვის გადაბირებას აპირებთ?**

— ეს ჯერ საიდუმლოა. ჩვენი მიმართულება ახლა ასეთია — გუნდის შემადგენლობაში ყოველ სეზონში უნდა გამოჩნდეს ერთი ისეთი ფეხბურთელი, რომელიც მსოფლიოს აალაპარაკებს. ადრე ასეთი შევჩენკო იყო, მერე — კალაძე, ახლა კი კაკა ბრწყინავს. „მილანში" გადმოსვლამდე მასზე ბევრმა არაფერი იცოდა, დღეს ყველა იცნობს. ზამთრის შესვენებისას, ანაც ზაფხულში, „მილანი" გამორჩეულად ნიჭიერი ფეხბურთელით კიდევ გამდიდრდება.

**— წლეულს აქცენტს სკუდეტოს მოგებაზე აკეთებთ?**

— არც ჩემპიონთა ლიგის მოგებაზე ვიტყვით უარს, მაგრამ ძალიან გაგვიჭირდება. მსაჯებმა თუ არ გაგვწირეს...

**— მსაჯობით უკმაყოფილონი ხართ?**

— უკმაყოფილონიო, ვერ ვიტყვი, თუმც ფაქტია, რომ მსაჯები ჩვენს მიმართ ერთიათად გამკაცრდნენ. ახლა საკონტინენტთაშორისო თასის მატჩზე რუსი ვალენტინ ივანოვია დანიშნული და ვნახოთ... კარგი იქნება, ამ თასსაც თუ მოვიგებთ.

**— ბატონო რეზო, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან, ჩვენს ფეხბურთთან არანაირი ურთიერთობა არ გაქვთ?**

— არა, არანაირი. ძალიან დიდი ხანია, არავის გავხსენებივარ. ერთი ამ რამდენიმე თვის წინ დამირეკეს და მთხოვეს, ეგებ ჭაბუკთა ნაკრებისთვის იტალიური შეკრება გაგვიხერხოო. საქმეში ნაცნობები ჩავრიე, მოსამზადებლად შესანიშნავი ადგილი გამოვნახეთ, იდეალური პირობებით, მაგრამ მერე საქართველოდან აღარავინ დამკავშირებია. არადა, შემიძლია ასეთ საქმეებში დახმარება. აგერ, ახლა პეტერბურგელ ყმაწვილთა გუნდი მყავდა ორი კვირით ჩამოყვანილი. ძალიან კმაყოფილები დარჩნენ.

**— ფეხბურთის ფედერაცია ეროვნული გუნდისთვის უცხოელი მწვრთნელის მოწვევას რომ აპირებს, ეს ალბათ გეცოდინებათ...**

— ესეც კახასგან [illegible] რომ ნაკრები ახლა უმწვრთნელოდაა.

**— და არც ამ საქმეში უთხოვიათ დახმარება?**

— არა, სიტყვა არავის უთქვამს.

**— ამბობენ, ნაკრების თავკაცად არიგო საკის კანდიდატურაც კი განიხილებაო. ამის თაობაზე რა იცით?**

— მგონი, ეს ვარიანტი არარეალურია. ჯერ ერთი, საკი „პარმას" გენერალურ დირექტორად მუშაობს; მეორეც, მას ჯანმრთელობა აქვს შერყეული, გული აწუხებს და უცხოეთში სამსახურზე, ვფიქრობ, არ დათანხმდება. თანაც საქართველოში, სადაც არეული ვითარებაა.

**— ფედერაციამ რჩევა რომ გკითხოთ, თქვენ ვის კანდიდატურას შესთავაზებდით?**

— კაპელოს, ლიპის...

**— სერიოზულად?**

— საქართველოს ნაკრებს ყველაზე დიდი პრობლემა თამაშის ორგანიზაციის მხრივ აქვს, რაც ძალიან კარგად იცის ჩეზარე მალდინიმ. იქნებ სცადოს ფედერაციამ და ამ კაცს დაელაპარაკოს, ამ საქმეში ჩვენებს მეც დავეხმარები. ვფიქრობ, საქართველოს ნაკრებს დღეს სწორედ მალდინის დარი გამოცდილი სპეციალისტი სჭირდება. მას თამაშის ორგანიზაციაში ბევრი ვერ შეედრება. ნაკრების ვარჯიში მეორეხარისხოვანია, რადგანაც ფეხბურთელებს საამისოდ კლუბებშიც საკმაო დრო აქვთ. ჩეზარეს თავისი აზრების ნათლად, ყველასთვის გასაგებად გამოხატვა შეუძლია, მისგან ახალგაზრდა მწვრთნელებიც ბევრს ისწავლიან. თანაც ის ფინანსურად უზრუნველყოფილია. სხვათაგან განსხვავებით, მალდინისთვის მატერიალური მხარე ნაკლებმნიშვნელოვანია.

**— და როგორ ფიქრობთ, თუ შესთავაზეს, ჩამოვა ჩეზარე მალდინი საქართველოში?**

— ახლა არა მგონია, ის საქართველოში ჩამოვიდეს. ქვეყანა უნდა დაწყნარდეს, უცხოელი რომ იქ მუშაობას დათანხმდეს. მალდინი კი არა, დღეს, ვფიქრობ, არც ერთი მწვრთნელი არ დათანხმდება საქართველოში ჩამოსვლას.

**კობა ინასარიძე**

# ადგილზე იარ!

## ხომერიკამა საქართველო ძაფზე ჩამოჰკიდა

*ლევან ხომერიკი კარგა ხანია, „ლოკომოტივში" არ ჩანდა. შვეიცარიამოვლილი, ტრავმებით გატანჯული თავდამსხმელი რკინიგზელებს გუშინწინ ფოთის „კოლხეთთან" 1:2 წაგებულ მატჩში დაუბრუნდა. ჩვენი საუბარიც სწორედ აქედან დაიწყო, თუმც სხვა თემებსაც შევეხეთ*

— ეს სეზონი ჩემთვის ყველანაირად ცუდი გამოდგა. საქმეები თავიდანვე არ ამეწყო, ფეხზე ხეირიანად ვერ დავდექი და ბევრი მატჩიც გავაცდინე.

**— „კოლხეთთან" შეცვლაზე ითამაშე და კარგად გამოჩნდა, რომ პრაქტიკა გაკლია...**

— ეს გასაკვირი არც არის. ჯერ კიდევ ძალიან ბევრი მაკლია ფორმის აღდგენამდე.

**— ვიცი, რომ საზარდული გაწუხებდა...**

— არა, საზარდული უკვე მოვირჩინე. ბოლო ტურები ვირუსის გამო გამოვტოვე. გაციებული ვიყავი.

**— ლუის ცაკარიასი „ლოკომოტივს" წინა სეზონშიც წვრთნიდა, შენ კი ის ახლა გაიცანი. რა შთაბეჭდილება დაგრჩა?**

— კარგი პიროვნებაა. ფეხბურთელებთან თბილი ურთიერთობა აქვს. მწვრთნელიც არ არის ცუდი. ვარჯიშებს რომ დავაკვირდი, შევამჩნიე, რომ ევროპაშიც დაახლოებით ასეა. უბრალოდ, იქ სხვა პირობებია. ჩვენც იმას ვაკეთებთ, რის საშუალებასაც პირობები გვაძლევს. აქ ფულზე და ფუფუნებაზე არაა ლაპარაკი, თუნდაც მხოლოდ ხეირიან მინდორს ვგულისხმობ.

**— რამდენიმე თვეა, შვეიცარიიდან საქართველოში დაბრუნდი. აქ კი შენგან უფრო მეტს ელოდნენ...**

— რა გიპასუხო, არც ვიცი. ალბათ, ასეთია ცხოვრება. მეც დიდი სურვილი მქონდა, მაღალ დონეზე მეთამაშა, მაგრამ ასე არ მოხდა. ამას თავისი მიზეზები აქვს...

**— კარიერის უცხოეთში გაგრძელებაზე ისევ ფიქრობ?**

— „ლოკომოტივთან" კონტრაქტი სეზონის ბოლომდე მაქვს, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში ისეთი ამბები ხდება, რომ... რა ვიცი, მგონი, ნებისმიერ წუთს უნდა იყო მზად აქედან წასასვლელად. დასანანია, რომ ხალხის გასაჭირმა ამხელა ზღვარს მიაღწია. ერთი სიტყვით, კითხვაზე ზუსტად ვერ გიპასუხებ. ჯერჯერობით აქ ვარ.



**— საქართველოს ჩემპიონატზე რას იტყვი? უფსკრულისკენ მივდივართ?**

— მთლად უფსკრულისკენ არა, მაგრამ თუ „მოვინდომებთ", არც ეს იქნება შორს. არანაირი წინსვლა არ არის, მილიმეტრებითაც კი არ წაგვიდგამს ფეხი. სამწუხაროა, მაგრამ რეალობა ასეთია. რაც უნდა იძახონ, პროგრესი ჩანსო, ეს ტყუილია. საქართველოს ჩემპიონატს შველა სჭირდება, თორემ ასე საერთოდ გავქრებით. ქართული ფეხბურთი გაყინულია. ახლა ძაფზე დაკიდებულ ხიდზე ვდგავართ და თუ ნაპირზე გასვლას არ დავაჩქარებთ, დავილუპებით. სანამ დროა, მანამდე უნდა გავანძრიოთ ხელი.

**კახა შალამბერიძე**

# 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. სამხრეთ ამერიკა

# ვიცინოთ თუ ვიტიროთ?

## არგენტინა სამხეცეთში, ბრაზილია ქარცეცხლში

*დღეს სამხრეთ ამერიკაში მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მეოთხე ტურის მატჩები გაიმართება. ლიდერი კი, მოგეხსენებათ, ორია — არგენტინა და ბრაზილია. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონები ოდენ ბურთების უკეთესი შეფარდებით სჯობიან მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონებს.*





რობერტო ფაბიან აიალას გამხეცებული მატურანას კოლუმბია აფრთხობს

### კოლუმბია — არგენტინა

არგენტინა კარიბის ზღვის საპორტო ქალაქ ბარანკილიაში სტუმრობს უიღბლო კოლუმბიელებს, ხოლო ბრაზილია ურუგვაის დაუხვდება.

დარწმუნებით ამბობენ, რომ არგენტინასთან მატჩის მერე კოლუმბიელები ისტორიის სანაგვეზე მოისვრიან მწვრთნელ ფრანსისკო მატურანას, რომელმაც ჯერჯერობით ერთი ქულაც ვერ მოაპოვებინა თავის გუნდს. წინა შაბათს ვენესუელასთან საშინაო მარცხმა ხომ სულ მთლად გადარია სრულიად კოლუმბია, სადაც ხალხს ბევრად უფრო ნაკლები ცოდვებისთვისაც ხოცავენ.

მატურანას საქმე ისე ცუდადაა, რომ ფეხბურთელებიც ვერ ბედავენ მის ღიად გამოქომაგებას და მხოლოდ მინიშნებებით ამბობენ, რომ მატურანას მხარს უჭერენ. ივან კორდობამ თქვა, ახლა ჩვენ ყველაზე მეტად სიმშვიდე და სიჩუმე გვჭირდებაო. „ინტერის" მცველმა ამით მიანიშნა, ასე დაუნდობლად ნუ ლანძღავთ მატურანასო. არადა, გავიხსენოთ, რომ მატურანა ის კაცია, ვინაც კოლუმბია ორჯერ გაიყვანა მსოფლიოს ჩემპიონატებზე, ხოლო ორი წლის წინ კოპა ამერიკა მოაგებინა. თავად კორდობა კი არგენტინასთან თამაშს შეძლებს — ვენესუელასთან მატჩი მან დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა.

აქვე დავძინოთ, რომ მატურანას ადგილზე სამ კანდიდატს მოიხსენიებენ და სამივენი კოლუმბიაში მუშაობენ. ესენი არიან, „ატლეტიკო ნასიონალის" მწვრთნელი ხუან ხოსე პელაესი, „დეპორტივო კალის" მწვრთნელი ხავიერ ალვარესი და „ატლეტიკო ხუნიორის" თავკაცი ჟორჟე ლუიშ პინტუ. ამათგან პოსტის ხელში ჩაგდების მთავარ ფავორიტად ალვარესს მიიჩნევენ, ვინაც პროფესიით ქიმიკოსია და მერე დაიწყო მწვრთნელობა.

მაგრამ რა მოხდება თუ კოლუმბიამ არგენტინას მოუგო? ამ შემთხვევაში რა ბედი ეწევა მატურანას, კოლუმბიელები არაფერს იუწყებიან და ჩვენც ნუ ვიმარჩიელებთ. სამაგიეროდ, ვთქვათ, რომ არგენტინას ხუან სებასტიან ვერონი დაუბრუნდა.

ასევე ვთქვათ, რომ არგენტინა წინა ორ შესარჩევ ციკლში იოლად ამარცხებდა კოლუმბიას, თუმცა დღევანდელი მატჩის წინ არგენტინელები რიხიან განცხადებებს მაიც ერიდებიან. ასე მაგალითად, რობერტო ფაბიან აიალამ თქვა, არც კი ვიცი, კოლუმბიელთა ჩავარდნა უნდა გვიხაროდეს თუ გვწყინდესო. ასეთ დღეში ჩავარდნილი გუნდი, ცხადია, გამხეცებული იქნება და მისგან ყველაფერი მოსალოდნელიაო.

#### სავარაუდო შემადგენლობები

კოლუმბია: ო. კორდობა, გ. მარტინესი, იეპესი, ბედოია, ი. კორდობა, ვიაფარა, პატინო, ხ. კაბალიერო, გრისალესი, პაბლო ანხელი, ბეჩერა

არგენტინა: პ. კაბალიერო, კიროგა, რ. აიალა, ვ. სამუელი, ხ. ძანეტი, ვერონი, კილი გონსალესი, დალესანდრო, აიმარი, კრესპო, ს. დელგადო

მსაჯი: კარლოს ეუჟენიო სიმონი (ბრაზილია)

### ბრაზილია — ურუგვაი



კარლოს ალბერტო პარეირა

ურუგვაისთან საშინაო მატჩის წინ შემადგენლობაში ცვლილების შეტანას აპირებს ბრაზილიელთა მწვრთნელი კარლოს ალბერტო პარეირა, ვინაც კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს შაბათს პერუში ულიმღამო თამაშის გამო.

„ვფიქრობ, ერთ ან ორ ფეხბურთელს შევცვლი — თქვა პარეირამ — შინ ვთამაშობთ და სამი ქულა უეჭველად უნდა ავიღოთ." თუმცა პარეირას არ უთქვამს კონკრეტულად ვის და რომელი ფეხბურთელებით შეცვლის. დავძინოთ, რომ რეალელი მცველი რობერტო კარლოსი და ბარსელონელი გამთამაშებელი რონალდინიო კვლავაც დაშავებულები არიან და ვერ ითამაშებენ.

ურუგვაელები კი იმუქრებიან, მორიგ სენსაციას შემოგთავაზებთო.

„ის, რომ ბრაზილია მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონია, არაფერს ნიშნავს. ჩვენ ჩვენსას ვეცდებით და ვფიქრობ, ყველაფერი გამოგვივა" — თქვა ურუგვაელთა მწვრთნელმა ხუან რამირო კარესკომ, რომელსაც დიდად ემადლიერებიან იმის გამო, რომ ტრადიციულად დაცვაზე ორიენტირებულ ფეხბურთზე უარი თქვა და ხალხს მეტ სანახაობას სთავაზობს.

ჯერაც არ არის გარკვეული, შეძლებს თუ ვერა თამაშს „ინტერის" შემტევი ნახევარმცველი ალვარო რეკობა.

**კოტე კეკელია**



ხუან რამირო კარესკო



რივალდო და რონალდო ურუგვაელთა დასახვედრად ასეც ემზადებიან

#### სავარაუდო შემადგენლობები

ბრაზილია: დიდა, კაფუ, ლუსიო, როკე ჟუნიორი, ჟუნიორი, რენატო, ჟილბერტო სილვა, ზე რობერტო, რივალდო, კაკა, რონალდო

ურუგვაი: მუნუა, მ. რომერო, კ. გონსალესი, დ. ლოპესი, ლაგო, აბეიხონი, მ. სოსა, რ. ნუნიესი, რეკობა (ან ლიგერა), ჩევანტონი, ბუენო

მსაჯი: ჰორაციო ელიზონდო (არგენტინა)

# მინდა ჩაგიკრა გულში და...



## რონალდინიომ კამპ ნოუზე წაივარჯიშა

**ბარსელონელი** რონალდინიო, მიუხედავად ესპანური პრიმერას მეთერთმეტე ტურში მიღებული მძიმე ტრავმისა, „ბარსა" — „რეალის" საამსეზონო პირველი შეხვედრისთვის (7 დეკემბერი) სერიოზულად ემზადება. საქმე ისაა, რომ გაუჩოს კატალონიური კლუბის ექიმებმა ბეტისელ ფერნანდესთან შეჯახების შემდეგ, სულ მცირე, ხუთკვირიანი იძულებითი შესვენება გამოუწერეს. მაგრამ თავად ოკეანისგაღმელი ასე არ ფიქრობს. „ექიმებმა მითხრეს, რომ თუ მკურნალობას დავაჩქარებ, შესაძლოა მადრიდელებთან თამაშისას უკვე სათანადო სპორტულ ფორმაში ჩავდგე. მაგრამ ისიც მითხრეს, თუ რამხელა რისკის ტოლფასია ეს დაჩქარება. მე კი ვაპირებ, სწრაფი და ამავდროულად სწორი თერაპიით ჯანმრთელობა რაც შეიძლება მალე აღვიდგინო" — განაცხადა გაუჩომ და სიტყვას საქმეც მიაყოლა.

ორშაბათს რონალდინიო „კამპ ნოუზე" ფიზიოთერაპევტ ხაიმე ხარდის თანხლებით გამოჩნდა, რათა მსუბუქი წავარჯიშებით გამოჯანსაღების რთული პროცესი დაეწყო. „რონი ტრავმას აუცილებლად დაძლევს. მას ძალიან ჯანსაღი ორგანიზმი აქვს, მაგრამ საკითხავია, როდის მოახერხებს იგი სრულფასოვან ბურთაობას. მიუხედავად ბრაზილიელის დიდი მცდელობისა, „რეალთან" მისი თამაში საეჭვოა. პირველ ვარჯიშს კი მაინც დადებითად შევაფასებდი" — თქვა ხორდი ადრევოლმა, „ბარსელონას" მთავარმა ექიმმა.

თავად გაუჩომ კი ვარჯიშთან ერთად მცირე ბრაზილიურ-სალლაბუცო კურიოზიც გააჩაღა. „კამპ ნოუს" მრავალი ტურისტი სტუმრობს და იმ დღესაც კატალონიის საფეხბურთო მექაში უცხოელთა საკმაოდ დიდი ჯგუფი მისულიყო. სანამ ჰოლანდიელები დიდებული არენისა და რონალდინიოს ჭვრეტით ტკბებოდნენ, ეს უკანასკნელი ექიმის მკაცრ მარწუხებს დაუსხლტა და მავან მშვენიერ გოგონას ბარაქიანად მოხვია წელზე ხელი.

**ლადო ხომერიკი**

# 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

## პლეი ოფი. საპასუხო მატჩები. დღეს

### თურქეთი — ლატვია (0:1)

# ახლა გაგახსენდით?! წადით, თქვენი თურქი... ფრისკი ლატვიის მეგობარია



ანდერს ფრისკი ჰალუკ ულუსოიმ მატჩამდე გალანძღა



**ლატვიიდან** შინ დაბრუნებული თურქები ენად გაიკრიფნენ. ისინი რიგაში მარცხს ფრანგ მსაჯ ჟილ ვესიეს აბრალებენ. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ჰალუკ ულუსოიმ ცოფები ყარა და უეფას მსაჯთა კომიტეტის უფროსს, თვისტომ შენეზ ერზიკს შეუთვალა, კმარა ჩვენი ჩაგვრა, ამ საქმეს შენ უნდა მიხედოო. ერზიკმა ასე უპასუხა: „უაზრო ლაქლაქს შეეშვით. მე ეს ამბავი არ მეხება, ნაკრები და ფეხბურთელები თქვენია და მიხედეთ. მწვრთნელმა კონკრეტული მატჩისთვის მოთამაშეების შერჩევა უნდა ისწავლოს. ულუსოის მაშინ გავახსენდი, როცა გაუჭირდა, ლატვიაში წასვლამდე კი არ გავხსენებივარ. რატომ არ დამპატიჟეთ რიგაში? თქვენ მარცხს ყინვას, მოედანს, მსაჯებს აბრალებთ, ფეხბურთი კი გავიწყდებათ. ლატვიელებიც იმავე მოედანზე არ თამაშობდნენ? ლაყბობას თავი დაანებეთ და საპასუხო მატჩზე იფიქრეთ, რომ სირცხვილნაჭამი არ დარჩეთ".

თურქებს ყოველი სანაკრებო თუ საკლუბო შეხვედრის წინ მსაჯებზე გართულება აქვთ. დღეს სტამბოლში შვედი ანდერს ფრისკის სასტვენის ხმას გაიგონებენ. მას თურქთა მონაწილეობით ოთხ მატჩში უმსაჯია და ოსმალების სასარგებლოდ ერთიც არ დამთავრებულა. ამ შემთხვევაში დღევანდელი მასპინძლები სხვა ფაქტებს ჩაებღაუჭნენ და ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ის ჯგუფი გაიხსენეს, რომელშიც ლატვია და შვედეთი თამაშობდნენ. ამ ჯგუფის მეორეადგილოსნის ბედი ბოლო ტურში სტოკჰოლმში გაირკვა. შვედებს პორტუგალიის საგზური უკვე განაღდებული ჰქონდათ, ბალტიისპირელებს კი მხოლოდ გამარჯვება სჭირდებოდათ და კიდეც მოიგეს 1:0. იმ მატჩში მასპინძელთა ფეხბურთელმა პენალტი გააცუდა. თურქებიც ამას ჩივიან, შვედეთ-ლატვიას მეგობრული ურთიერთობები აქვთ და ფრისკი ნაღდად გაგვწირავს, მისი დანიშვნა ჩვენს მატჩზე არ შეიძლებოდაო.

შენეზ ერზიკი მართალი კაცი ყოფილა. მის თანამემამულეებს მსაჯების დევნაში ფეხბურთის თამაში დაავიწყდებათ.

შენოლ გიუნეშმა თქვა, რომ რიგული მატჩი კარგად გააანალიზა და შეისწავლა. იგი დღევანდელ გამარჯვებაში, თან საჭირო ანგარიშით, დარწმუნებულია. მასპინძლებს დისკვალიფიკაციის გამო სამი ფეხბურთელი დააკლდებათ. მეკარე რუშთუს ტრაბზონელი ომერი შეცვლის. ფათიჰ აკიელის და ემრე აშიქის შემცვლელებს კი გიუნეში დღეს დაადგენს. თითქმის გადაწყვეტილია ჰაქან შუქურის ძირითად შემადგენლობაში თამაში, მარცხენაფლანგელად კი ალბათ ბრემენელ „მუსიკოსს" უმით დავალას გაამწესებენ.

სტუმრებს დისკვალიფიცირებული ვალენტინ ლობანიოვსი არ ეყოლებათ, სამაგიეროდ, ორი სასჯელმოხდილი ფეხბურთელი — მიხაილს ზემლინსკისი და გინტარას ზირნისი დაუბრუნდათ. ალექსანდრს სტარკოვსმა ვლადიმირს კოლესნიჩენკოს და ტრავმამოუშუშებელი ოლეგ ბლაგონადეჟდინსის შინ დატოვება გადაწყვიტა.

დღევანდელი მატჩში სტამბოლში თურქთაგან პროვოკაციებია მოსალოდნელი და როგორც არ უნდა დასრულდეს შეხვედრა, ბოლოს ვკირაბში...

**რომან თურქია**

### სავარაუდო შემადგენლობები

თურქეთი: ომერი, უმითი, ბიულენთი, დენიზი, იბრაჰიმი, ოკანი, ემრე, თუგაი, ერგუნი, ჰ. შუქური, ნიჰათი

ლატვია: კოლინკო, ზემლინსკისი, ზირნისი, სტეპანოვსი, ისაკოვსი, ასტაფიევსი, ლაიზანსი, რუბინსი, ბლეიდელისი, ვერპაკოვსკისი, რიმკუსი

მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი)

#### დისკვალიფიცირებულნი

*თურქეთი:* ფათიჰ აკიელი, ემრე აშიქი, რუშთუ რექბერი; *ლატვია:* ვალენტინ ლობანიოვსი

### ჰოლანდია — შოტლანდია (0:1)



პატრიკ კლუივერტი დიკ ადვოკაატს ტაქტიკას უწუნებს



# ჰოლანდიის ცხრაწლიანი ორსულობა

## შოტლანდიას კბილი ასტკივდა

**საინტერესო** ფაქტია, ბოლო ცხრა წლის მანძილზე ჰოლანდია შოტლანდიას სამჯერ შეხვდა და „ნარინჯისფრებს" სქოთებისთვის გოლი არ გაუტანიათ. 1996 და 2000 წელს მატჩები უგოლო ფრით დასრულდა, გასულ უქმეებზე კი შოტლანდიელებმა 1:0 მოიგეს.

დღეს მასპინძლები ნავსის გატეხვას შეეცდებიან, მით უმეტეს, რომ მათ მაღალი კლასის ფორვარდები ჰყავთ. ჰოლანდიელთა მთავარი დანაკლისი, ალბათ, იაპ სტამია, რომელიც გლაზგოში მიღებული ყვითელი ბარათის გამო საპასუხო შეხვედრას გამოტოვებს. შინ დაბრუნებულმა სტამმა თქვა: „ეს ჩემი პირადი ტრაგედიაა".

დიკ ადვოკაატმა ნაკრებში ორ ეინდჰოვენელ ფეხბურთელს უხმო. არიენ რობენი სავარაუდოდ, მარკ ოვერმარსს შეცვლის, ვილფრედ ბუმა კი სტამს.

„არსენალის" ფორვარდ დენის ბერხკამპს სჯერა, რომ მისი თანამემამულეები ამსტერდამში საჭირო ანგარიშით გაიმარჯვებენ. „ვფიქრობ, ჩვენ უნდა მოვიგოთ, რადგან შარშან მსოფლიოს ჩემპიონატი გამოვტოვეთ, ახლა კი ევროპის ჩემპიონატის გამოტოვებას გულშემატკივრები აღარ გვაპატიებენ. ამჟამად ნაკრებს სტაბილურობა აკლია. გადახედეთ ისტორიას და აღმოაჩენთ, რომ „ნარინჯისფრებს" 1988 წლის შემდეგ წარმატებისთვის არ მიუღწევიათ. ამჟამად ძალიან ნიჭიერი თაობა გვყავს, რაც პორტუგალიის საგზურის მოპოვებას გვავალდებულებს".

ჰოლანდიელთა ბანაკში დროდადრო მცირე კონფლიქტები ხდება. ერთი თვის წინ ადვოკაატს რუუდ ვან ნისტელროოი გაუწყრა. ამჯერად გლაზგოური მატჩის შემდეგ პატრიკ კლუივერტმა მწვრთნელს ტაქტიკა დაუწუნა.

„მთავარი ეს არაა — დასძინა ბერხკამპმა — რა თქმა უნდა, ნებისმიერ მოთამაშეს საკუთარი ხედვა აქვს და ზოგიერთი მათგანი ნაზრევს საჯაროდ გამოთქვამს. მსგავსი ამბები ნაკრებში ჩემი თამაშის დროსაც მომხდარა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს მხოლოდ თამაშია".

დიკ ადვოკაატი დღეს გადაწყვეტს რომელი წყვილით შეუტიოს შოტლანდიას. არჩევანი დიდი აქვს: კლუივერტი, ვან ნისტელროოი, მაკაი და ვან დერ ვაარტი. ოთხივეს ძირითად შემადგენლობაში თამაში სურს, მაგრამ საბოლოო ვარიანტს მწვრთნელი შეარჩევს.

ბერტი ფოგტსი კი გლაზგოურ 1:0-ს ამსტერდამში კბილებით დაიცავს. მის ნაკრებში რამდენიმე ცვლილებაა მოსალოდნელი. კრისტიან დეილი დისკვალიფიკაციის გამო დღევანდელ შეხვედრას გამოტოვებს. მცირე ტრავმები აწუხებთ ნეისმიტს და პრესლის, პოლ დევლინს კი კბილი ისე საშინლად სტკივა, რომ მისი თამაში გამორიცხულია. სამაგიეროდ, გევინ რაე მომჯობინდა და ალბათ ძირითად შემადგენლობაშიც გამოჩნდება.

**გაგა ხუციშვილი**



შოტლანდიელ ქომაგთა მატჩისწინა მოთელვა

### სავარაუდო შემადგენლობები

ჰოლანდია: ვან დერ სარი, ოიერი, ფ. დე ბური, ბუმა, სნეიდერი, კოკუ, დავიდსი, ვან დერ ვაარტი, ვან დერ მეიდე (ან ზეედორფი), ოვერმარსი, ვან ნისტელროოი

შოტლანდია: დუგლასი, მაკნამარა, პრესლი, უილკი, ნეისმიტი, ბ. ფერგიუსონი, ფლეტჩერი, ალექსანდერი (ან რაე), ნ. მაკკანი, მაკფადენი, დიკოვი (ან მილერი)

მსაჯი: ლუბომ მიხელი (სლოვაკეთი)

#### დისკვალიფიცირებულნი

*ჰოლანდია:* იაპ სტამი; *შოტლანდია:* კრისტიან დეილი

# 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

## პლეი ოფი. საპასუხო მატჩები. დღეს

### უელსი — რუსეთი (0:0)

# გიგზის გადახვევას ვერ მოასწრებენ
## ჰიუზი კარს და პირს ერთად გააღებს



**რუსთა** მთავარი პრობლემა მეკარეა. გიორგი იარცევი ან 17 წლის მოსკოვის არმიელ იგორ აკინფეევს უნდა ენდოს, ან 24 წლის ზენიტელ ვიაჩესლავ მალაფეევს. ნაკრებში აქამდე არცერთს უთამაშია და კარდიფში ერთ-ერთის დებიუტი შედგება.

იარცევმა უელსში ტრავმირებული ანდრეი კარიაკა ვერ წაიყვანა, სამაგიეროდ, დისკვალიფიცირებული ალექსანდრ მოსტოვოის ადგილი შესაძლოა, გამოჯანმრთელებულმა ეგორ ტიტოვმა შეავსოს. მცირე ტრავმა აწუხებდა დმიტრი ბულიკინს, რომელმაც ვარჯიში გააცდინა, მაგრამ გუნდს გაჰყვა.

რუსებმა რაიან გიგზის ამბავი ხელზე დაიხვიეს და იმედოვნებენ, რომ მანჩესტერელის დასჯას მიაღწევდნენ, მაგრამ გუშინ საღამოს ცნობილი გახდა: რუსეთ — უელსის მატჩის დელეგატმა, ბერძენმა ანდრეას აკილიდისმა გიგზისგან ევსეევზე უხეშობა ვერ შეამჩნია და შესაბამისად, არც პატაკში შეუტანია. ეს ფაქტი რუსების შანსებს ამცირებს. მათ შეხვედრის ვიდეოფირი უეფაში უკვე აფრინეს, მაგრამ წუხელ იგი დანიშნულების ადგილს ჯერ არ იყო მისული. ნებისმიერ შემთხვევაში, გიგზის საქმე რომ განიხილონ, უელსელებს გასაჩივრების უფლება აქვთ და რამდენიმე დღეს აპელაციის განხილვა წაიღებს. ფაქტობრივად, მანჩესტერელს არაფერი ემუქრება, მით უმეტეს, რომ თვითონ ამტკიცებს, ევსეევისთვის იდაყვი არ ჩამირტყამს, მხოლოდ ხელი ვკარი, ის კი ტყვიანკრავივით დაეცაო.

კარდიფში დიდი მზადებაა და ცხადია, 75-ათასიანი „მილენიუმი“ გადაჭედილი იქნება. პლეი ოფის ყველაზე იღბლიანი მწვრთნელი მარკ ჰიუზია, რადგან მხოლოდ მას არ ჰყავს დისკვალიფიცირებული ფეხბურთელები. უელსის ნაკრების ბაზა ჟურნალისტებისთვის გუშინ დაიკეტა, ჰიუზმა თქვა, ნამატჩევს რამდენიც გენებოთ, ვისაუბროთ, ახლა კი კონცენტრაციისთვის დუმილი აჯობებსო. გუშინწინ, უელსელმა ფეხბურთელებმა მედიასთან ინტერვიუები უხვად არიგეს. გარი სპიდმა ათი წლის წინანდელი ამბავი გაიხსენა, როცა გადამწყვეტ მატჩში შინ რუმინეთთან 1:2 დამარცხდნენ და იმ შეხვედრაში სპიდთან ერთად გიგზმაც ითამაშა: „ანგარიში 1:1 იყო და თამაშის ასე დასრულება ჩვენ ხელს გვაძლევდა. მეორე ტაიმში პოლ ბოდინმა პენალტი გააცუდა. მერე კი სტუმრებმა გაგვიტანეს და დავმარცხდით. ეს აღარ განმეორდება. რუსეთთან თითოეულმა ჩვენთაგანმა ყველაფერი უნდა გაიღოს იმისთვის, რომ პორტუგალიის საგზური მოვიპოვოთ“.

უელსელთა მეკარე პოლ ჯოუნსმა ქომაგებს მხარდაჭერისკენ მოუწოდა. რუსთა მეკარეს ფეხები უნდა უკანკალებდესო, თქვა ჯოუნსმა: „პირველ ოც წუთში მეტოქეს კარის წინ გამუდმებული ჩაწოდებებით შევაჯანჯღარებთ და ვნახოთ, როგორ გაუძლებენ ჩვენს შეტევებს“.

**მაჟა ხუციშვილი**



რაიან გიგზს მარკ ჰიუზი რუსებს კარდიფშიც დაახვედრებს

### სავარაუდო შემადგენლობები

უელსი: ჯოუნსი, დილანი, ბარნარდი, მელვილი, გაბიდონი, კუმასი, სევიჯი, სპიდი, ე. ჯონსონი, გიგზი, ჰართსონი

რუსეთი: მალაფეევი, ევსეევი, იგნაშევიჩი, ონოპკო, სენიკოვი, სმერტინი, ალენიჩევი, ლოსკოვი, ტიტოვი, ბულიკინი, კერჟაკოვი

მსაჯი: მანუელ ენრიკე მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

დისკვალიფიცირებულნი

*უელსი:* არავინ; *რუსეთი:* სერგეი ოვჩინიკოვი, ალექსანდრ მოსტოვოი

### სლოვენია — ხორვატია (1:1)

# ბარიჩმა თქვა 2:1
## პრაშნიკარმა ერთადერთი



ოტო ბარიჩი

**ზაგრების** „მაქსიმირზე“ დაწყებული ყოფილ იუგოსლავიელთა ჯახი დღეს ლიუბლიანის „ცენტრალზე“ გადაინაცვლებს.

ამათი პირველი შეხლა შაბათს ფრედ 1:1 დასრულდა და თითქოს სლოვენიელებს უკეთესი შანსიც აქვთ, პორტუგალიაში გასამართი ევროპის ჩემპიონატის საგზური მოიპოვონ, თუმც გადაჭრით ვერავინ იტყვის, რომ სლოვენია იოლად დაამარცხებს ყოფილ მოძმეებს.

მატჩი რომ დაძაბული იქნება, ეს ორივე გუნდის მწვრთნელებსა თუ ფეხბურთელებს კარგად მოეხსენებათ. სლოვენიელი ბოჟან პრაშნიკარი და ხორვატი ოტო ბარიჩი, ცხადია, მოგებას გეგმავენ, თუმც დასძენენ, მეტოქის დაჩოქება იოლი არ იქნებაო.

ბარიჩმა ხორვატიულ გაზეთ „ვეჩერნისთვის“ გუშინ მიცემულ ინტერვიუში თქვა: „მერწმუნეთ, ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია ლიუბლიანაში ორი ბურთი გავიტანოთ და სულ ცოტა, 2:1 მოვიგოთ. იოლი არ იქნება, მაგრამ არც შეუძლებელი მგონია. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ზაგრებში ჩვენს გულშემატკივარს ვერ ვაჩვენეთ ნამდვილი ძალა. იმედი მაქვს, ამის კომპენსირებას ლიუბლიანაში მოვახერხებთ და პორტუგალიაშიც სწორედ ჩვენ წავალთ“.

ოტო ბარიჩი იმედიანადაა და ორშაბათს ლისაბონიდან სასწრაფოდ გამოიძახა სანაკრებო შეკრებაზე „ბენფიკას“ ფორვარდი ტომისლავ შოკოტა. ამ უკანასკნელმა დისკვალიფიცირებული ივიცა ოლიჩი უნდა შეცვალოს — მოსკოვური ცსკა-ს თავდამსხმელმა პირველ მატჩში ყვითელი ბარათი მიიღო, რაც მისთვის შესარჩევში მეორე აღმოჩნდა და დღევანდელ მატჩსაც ავტომატურად ამიტომ გამოტოვებს.

ერთი სიტყვით, მონაკოელ დადო პრსოს სწორედ შოკოტა შეუწყვილდება და ხორვატიას დაცვაში ორი წამყვანი ფეხბურთელიც დაუბრუნდება — იოსიპ შიმუნიჩმა ფეხის ტრავმა მოირჩინა, რობერტ კოვაჩმა კი დისკვალიფიკაცია უკვე პირველივე მატჩისას მოიხადა.

თუ ბარიჩმა ოლიჩის შემცვლელი ასე თუ ისე გამონახა, საფიქრალი მისცემია სლოვენიელ ბოჟან პრაშნიკარს: მას თავდამსხმელი ერმინ შილიაკი არ ეყოლება, რომელმაც ზაგრებში სლოვენიელთა გამთანაბრებელი გოლი შეაგდო.

სხვა რა ჩარაა, ალბათ იფიქრა პრაშნიკარმა და დღეს გუნდის ლიდერს და ამპლუით ნახევარმცველ ზლატკო ზაჰოვიჩს სავარაუდოდ თავდასხმაში ასწევს: „სებასტიან ციმეროტიჩი რომ დაშავებული არ იყოს, ცხადია, შილიაკს იგი შეცვლიდა. ერთადერთი თავდამსხმელით ვითამაშებთ და იმედი მაქვს, ზაჰოვიჩი, როგორც გუნდის ლიდერი, ყველანაირ დადებით თვისებებს ახლაც გამოაჩენს“ — ამბობს პრაშნიკარი.

სლოვენიელთა კარს კვლავაც მლადენ დაბანოვიჩი დაიცავს, ძირითადი გოლკიპერი მარკო სიმეუნოვიჩი ხომ უკვე რა ხანია, დაშავებულია. აი, დაბანოვიჩის კოლეგა, დონეცკის „შახტარის“ მეკარე სტიპე პლეტიკოშა კი ქომაგებს სანახაობრივ ფეხბურთს, ხორვატიის მოგებას და საკუთარ კარში ბურთის არგაშვებას ჰპირდება: „ზაგრებში ყველამ ცუდად ვითამაშეთ. ვაღიარებ, გაშვებული ბურთიც მთლიანად ჩემს სინდისზეა, რეაგირება დროულად ვერ მოვახდინე. არანაირად არ გვაქვს უფლება, ლიუბლიანაშიც იგივე გავიმეოროთ. რატომღაც მჯერა, რომ მოვიგებთ და უფრო ყურადღებიანიც ვიქნები“.

ბოლოს კი დავძენთ, რომ მატჩს შვეიცარიელი არბიტრი, გამოცდილი ურს მაიერი განსჯის.

**გიორგი ვაშაკიძე**



ბოჟან პრაშნიკარი



ნიკო კოვაჩის მხარდამხარ მისი ტყუპისცალიც შეეჭიდება სლოვენიელებს

### სავარაუდო შემადგენლობები

სლოვენია: დაბანოვიჩი, ციპოტი, ვუგდალიჩი, კნავსი, კარიჩი, შუკალო, ნ. ჩეჰი, პავლინი, აჩიმოვიჩი, რუდონია (ან კაპიჩი), ზაჰოვიჩი

ხორვატია: პლეტიკოშა, ჟივკოვიჩი, რ. კოვაჩი, ტუდორი, შიმუნიჩი, სრნა, ნ. კოვაჩი, როსო, რაპაიჩი, პრსო, შოკოტა

მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია)

დისკვალიფიცირებულნი

*სლოვენია:* ერმინ შილიაკი; *ხორვატია:* ივიცა ოლიჩი

# 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

პლეი ოფი. საპასუხო მატჩი. დღეს

## ნორვეგია — ესპანეთი (1:2)

# ოსლოში წესიერი ხალხი ცხოვრობს

## ფორთოხალი და ტელეფონი მესტალიაზე მოიკითხეთ

**დღეს** ოსლოში „ულევალის" კოხტა სარბიელზე ევრო 2004-ის საპლეიოფო საპასუხო შეხვედრაში ერთმანეთს ნორვეგიისა და ესპანეთის ნაკრებები დაუპირისპირდებიან. სკანდინავებმა წინა, 15 ნოემბრის შეხვედრაში „მესტალიაზე" პირინეელებს ოდენ 1:2 დაუთმეს და პორტუგალიაში წასასვლელად მშვენიერი შანსიც შეინარჩუნეს. მიუხედავად ამისა, ჩრდილოეთში საბრძოლველად ჩასულ ინაკი საესის გუნდს წინასამატჩო პესიმიზმისა არაფერი ეტყობა. „გასვლითი თამაში ძნელი იქნება, მაგრამ ჩვენ ნორვეგიელებზე ძლიერი ნაკრები გვყავს და მტკიცედ მჯერა, რომ ევროპის ჩემპიონატზე ესპანეთის ნაკრები აუცილებლად მოხვდება" — დამაჯერებლად განუცხადა კასტილიელთა ახალგაზრდა გოლკიპერმა, იკერ კასილიასმა ესპანურ „მარკას". თანამემამულე ჟურნალისტები რაულმაც დაიმედა: „ესპანეთი ამ ორრაუნდიანი ბრძოლის ფავორიტია. ჩვენი მეტოქე დღევანდელ მატჩში ვერ გაიმარჯვებს".

სტუმრებს ოსლო ტრადიციულად ცივი ამინდით შეეგება. მართალია, ადრე ნავარაუდევი თოვლი არსად ჩანდა, მაგრამ ტემპერატურა ფრიად დაბალი (+4 გრადუსი) გახლდათ, რაც ვიკინგთა სამხრეთელი მოწინააღმდეგის საგოლე აქტიურობაზე მცირედ, თუმცა მაინც იმოქმედებს.

მასპინძელთა საომარი შემართებაც თვალში საცემია. სტეფენ ივერსენი, სკანდინაველთა ვეტერანი ნახევარმცველი და გასულ შაბათს „მესტალიაზე" ვიკინგების ერთადერთი გოლის ავტორი ახლაც გოლით იმუქრება: „ვალენსიაშიც გავუტანე კასილიასს და ჩვენი გულშემატკივრის წინაშეც მოუწევს კარის სიღრმეში ბურთის მოსაძებნად შესვლა. ესპანელებს ფრეც ხელს აძლევთ. ისინი წინა მატჩში მიღწეული შედეგის შენარჩუნებას ეცდებიან და ჩვენც ამას როგორც საჭიროა, ისე გამოვიყენებთ".

ბობოქარი ივერსენის გარდა მომხვდურებს ნორვეგიელ ქომაგთა მრისხანებაც აფიქრებთ. საქმე ისაა, რომ პირველ მატჩში რამდენიმე ათეულმა ვალენსიელმა ინჩასმა ნორვეგიელებს „გულთბილი" დახვედრა მოუწყო და ოსლოელებიც „ულევალზე" საკადრის მასპინძლობას აპირებენ. თუმცა ნილს-იოჰან სემბის (ნაკრების დამრიგებელი) თქმით, ასეთი რამ სკანდინავიაში არ მოხდება: „მესტალიაზე" ფორთოხლებს, მობილურ ტელეფონებსა და ეშმაკმა უწყის, რას არ გვესროდნენ, მაგრამ ჩვენთან მსგავსი არაფერი მოხდება. ნორვეგიული და ესპანური ტემპერამენტი ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავებულია".

პირინეელ ჟურნალისტებსაც დამხვდურთა მშვიდი ზნის ეიმედებათ. როგორც ერთ-ერთი მათგანი (ხუან კასტრო, „მარკა") აღნიშნავს, ნორვეგიული ფანობა ინგლისელ და არგენტინელ თანამოძმეებს არ ჰგვანან და სტუმართა საფეხბურთო დელეგაციას შეუძლია, მშვიდად იყოს.

**ლადო ხომერიკი**



ინაკი საესი არც ნორვეგიელებს უფრთხის და არც ოსლოურ სიცივეს

### სავარაუდო შემადგენლობები

ნორვეგია: ე. იონსენი, ბასმა, ლუნდეკვამი, რისეტი, სოლი, სტენსაასი, რიისე, ანდრესენი, რ. იონსენი, ივერსენი, ტ. ფლო

ესპანეთი: კასილიასი, სალგადო, პუიოლი, ელგერა, სესარი, ხოაკინი, ალბელდა, ბარახა, რეიესი, ვალერონი, რაული

მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)

დისკვალიფიცირებულნი

*ნორვეგია:* ჰენინგ ბერგი; *ესპანეთი:* კარლოს მარჩენა

# ალ-ჯაზირას აბონენტი იეროს ხმა ყატარიდან

*„სანტიაგო ბერნაბეუდან" ყატარის უდაბნოში გახიზნული ფერნანდო იერო კვლავინდებურად მადრიდის „რეალის" ერთგულ რაინდად რჩება. 34 წლის ვეტერანი ჯერ კიდევ არ აპირებს სპორტული კარიერის დასრულებას, თავს მშვენივრად გრძნობს და ახალ, ფრიად არაკასტილიურ გარემოსთანაც სრულ ჰარმონიაში იმყოფება. „რეალის" მატჩებს კი ადგილობრივი ტელეარხის მეშვეობით ადევნებს თვალყურს. სამეფო გუნდის ყოფილ კაპიტანს ესპანური „მარკა" გაესაუბრა*



— რა იგრძენით, როდესაც მადრიდის „რეალი" საბოლოოდ მიატოვეთ?

— ვერ გეტყვით, რომ ბედნიერი ვიყავი. მადრიდიდან წამოსვლით დიდი გულისტკივილი განვიცადე. „სანტიაგო ბერნაბეუსთან" ბრწყინვალე მოგონებანი მაკავშირებდა და უკეთესი იქნებოდა, ყოველივე ეს უფრო კარგი ფინალით დაგვირგვინებულიყო.

**— თქვენი წასვლის დროს ამბობდნენ, პრიმერას გრანდის თავკაცები იეროს დაცვაში ინერტულობამ გაალიზიანა და კაპიტანთან დამშვიდობებაც ამიტომ გადაწყვიტესო. თუმცა „რეალის" უკანა ხაზი დღეს არცთუ ისე კარგად ირჯება...**

— სამეფო გუნდში დაცვას ყველაზე ნაკლები ყურადღება ექცევა. ყოველ შემთხვევაში, რაც მე იქ ვითამაშე, ანუ მთელი 14 წლიწადი, ეს პრობლემა მუდამ თვალში საცემი იყო. „რეალის" ფეხბურთელები სულ იერიშებზე ფიქრობენ და უკანა პოზიციებიც ხშირად მეტოქეთა კონტრდარტყმების მსხვერპლი ხდება.

**— კლოდ მაკელელე რომ „ჩელსიში" არ გადაბარგებულიყო, კარლუშ კეიროშის კლუბი შეიძლება მსგავს სიძნელეებს აღარც შეეწუხებინა. თქვენ რას იტყვით ამის შესახებ?**

— არასწორი მოსაზრებაა. როგორც უკვე გითხარით, დაცვის უზუსტობანი ოდენ „რეალის" მთელი შემადგენლობის შეტევისადმი დიდი სიყვარულით აიხსნება.

**— რონალდო, ფიგუ, ზიდანი და ბოლოს ბექემი. პრეზიდენტი პერესი „ბერნაბეუზე" ვარსკვლავების მიყვანით სწორ პოლიტიკას აწარმოებს?**

— დიახ, რა თქმა უნდა. ამ ბიჭების მონაწილეობით ნებისმიერი ულიმღამო მატჩი გრანდიოზულ საფეხბურთო სპექტაკლად იქცევა ხოლმე. თუ რამე სასწაული არ მოხდა, „რეალის" მსოფლიოს ვერც ერთი კლუბი სათანადო წინააღმდეგობას ვერ გაუწევს.

**— „რეალის" თამაშებს ყატარშიც უყურებთ?**

— არც ერთი საპრიმერო თუ სხვა შეხვედრა არ გამომიტოვებია. საბედნიეროდ, აქ „ალ ჯაზირა სპორტი" გვაქვს, რომლის მეშვეობითაც ესპანეთიდან პირდაპირ რეპორტაჟების ცქერა შეგვიძლია.

**— იერო გუნდს დასცილდა, მაგრამ მოვიდა დევიდ ბექემი. ამ ცვლილების შესახებ ვისაუბროთ...**

— ბუნებრივია, ერთი ფეხბურთელის ადგილს სხვა, მეორე დაიკავებს. მთავარია, რომ „რეალი" ისევ ევროპისა და მსოფლიოს წამყვან კლუბად რჩება.

**— ვინ გადაწყვიტა თქვენი მადრიდიდან გამგზავრება? ხორხე ვალდანომ თუ ფლორენტინო პერესმა?**

— გუნდიდან წასვლის გადაწყვეტილება მხოლოდ მე მივიღე, არც ვალდანოსა და არც პერესს ამაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

**— თითქოს იმასაც ამბობდნენ, რომ უფროსობასთან ჯამაგირის თაობაზე მწვავე კონფლიქტი გქონდათ.**

— ეს უბრალოდ ჭორია და საერთოდ, ამ თემაზე არც მსურს ლაპარაკი.

**— ესპანური პრიმერადივიზიონის შემდეგ ყატარის ნაკლებადცნობილი ლიგაში თამაშობთ. გულახდილად მითხარით, არ ნანობთ, ოდინდელ საფეხბურთო სივრცეს ასე მკვეთრად რომ გაემიჯნეთ?**

— „რეალში" დიდი ტიტულები მოვიხვეჭე რაც შესაძლებელი იყო, ყველაფერი მოვიგე და მუდამ მადრიდში ხომ არ დავრჩებოდი. ნამდვილად არ ვნანობ, ეს ნაბიჯი რომ გადავდგი, პირიქით, კმაყოფილიც ვარ.

**— და რას გეუბნებათ ეს გამოცდილება, ფერნანდო იერო კვლავაც გააგრძელებს თამაშს?**

— თუ ყველაფერი კარგად წარიმართა, ერთ სეზონს კიდევ დავრჩები. ფეხბურთი ჩემთვის იმდენად ბევრს ნიშნავს, რომ მასთან გამოთხოვება (განსაკუთრებით ამ ეტაპზე) წარმოუდგენლად მიმაჩნია.

# კოზმიმ რედონდო გაამხილა

**ცოტა** ხნის წინ გაუწყეთ, რომ „პერუჯას" მთავარმა მწვრთნელმა სერსე კოზმიმ იანვარში რამდენიმე ახალი ფეხბურთელის დამატება მოისურვა და განაცხადა, ამის შესახებ კლუბის პრეზიდენტ ლუჩანო გაუჩის უნდა ვესაუბროო.

კოზმიმ ისიც თქვა, რაიმე განსაკუთრებულ ტრანსფერს არ ვითხოვ, უბრალოდ, ერთი-ორი ჭკვიანური ნაბიჯის გადადგმა შეიძლებაო, მაგრამ განა ფერნანდო რედონდოს შეძენის სურვილი რამე განსაკუთრებული არ არის?

2000 წელს მადრიდის „რეალის" რიგებში ჩემპიონთა ლიგისა და „ოქროს ბურთის" მოგების შემდეგ ფერნანდო რედონდომ „მილანს" მიაშურა, მაგრამ მას მერე ტრავმებმა გააწამა და, ფაქტობრივად, ორწლიანი იძულებითი შესვენების შემდეგ ძველებური ფორმის აღდგენას ველარ ახერხებს.

მართალია, ამ სეზონში კარლო ანჩელოტის არგენტინელი ნახევარმცველი მოედანზე გაჰყავს, მაგრამ ეს ნამდვილად აღარ არის ძველი რედონდო, ხოლო ფორმის აღდგენას ხშირი თამაში სჭირდება, რასაც არგენტინელი დიდი კონკურენციის გამო ვერ ახერხებს.

ასე რომ, რედონდო შესაძლოა, სულაც არ იყოს კლუბის გამოცვლის წინააღმდეგი და თუ „პერუჯაც" უფრო მეტად მოინდომებს, არგენტინელს თავისთან გადაიბირებს.

„პერუჯა" კი ნამდვილად მონდომებულია და საკმაოდ ეშმაკურადაც მოქმედებს. როგორც იცით, ამ სეზონის დაწყებიდან დღემდე „მილანს" მარცხენა ფლანგზე პრობლემები აქვს. ალბათ ისიც მოგეხსენებათ, რომ დაახლოებით სამთვიანი შესვენების შემდეგ „შავწითლებთან" ერთად ვარჯიში განაახლა ჩვენებურმა კახა კალაძემ, მაგრამ მას ფორმის აღდგენისთვის დრო სჭირდება. ჯანზე არც პანკარო და სერჟინიო არიან. ჰოდა, უმბრიული კლუბიც მილანელთა სუსტ წერტილზე მიანიშნებს და რედონდოს სანაცვლოდ „მილანს" ფულთან ერთად ფაბიო გროსოს სთავაზობს.

**გიორგი ძაძამიძე**



ფერნანდო რედონდო

# ბარტეზის ცირკი

## მამით მორაგბე, დედით ფეხბურთელი, ცოლით ტოპმოდელი

*ბავშვობაში ის კატალონიელ თანატოლებთან მეგობრობდა, საუზმის დროს ფეხბურთის ბურთს გვერდიდან არ იშორებდა, მიუხედავად იმისა, რომ მისი მამა-პაპა რაგბს ეთაყვანებოდა საბოლოოდ მან ფეხბურთი არჩია, რადგან მორაგბეთა დაჟეჟილ-დამტვრეული თითები არ მოეწონა. ახლა 32 წლისაა დ თითქმის ყველაფერს მიაღწია. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის ტიტულები მოიგო, ჩემპიონთა თასიც აღუმართავს „მარსელის" შემადგენლობაში. მან თავისი ხელობა შოუდ აქცია და როცა ეს შოუ ალექს ფერგიუსონს მობეზრდა, გუნდიდან გააბუნძულა*





**ფაბიენ ბარტეზი,** ნამდვილი ფრანგი მოკლესახელოებიანი მაისურით, ბლანჟეთი და გადაპრიალებული თავით. ამ შემოდგომაზე „მანჩესტერიდან" ყოფილ კლუბ „მარსელში" დაბრუნდა, მაგრამ უეფა იანვრის სატრანსფერო ფანჯრის გახსნამდე კონტრაქტის გაფორმების უფლებას არ აძლევს. მისი ადგილი „ოლდ ტრეფორდზე" ამერიკელმა ტიმ ჰოვარდმა დაიკავა. მიუხედავად ამისა, საფრანგეთის ნაკრებისთვის იგი ძალაა. ნაკრებში არასოდეს წაიტუტუცებს ისე, როგორც „მანჩესტერში". გასულ უქმეებზე გერმანიასთან მატჩში „სამფეროვანთა" კარში გრეგორი კუპე იდგა, მაგრამ ეს არაა გასაკვირი, რადგან კუპე ჟაკ სანტინის მეგობარია მოედნის გარეთაც და მათი კარგი ურთიერთობა „ლიონიდან" იწყება.

ვინ არის ფაბიენ ბარტეზი ჩვეულებრივი გულშემატკივრისთვის? მელოტი კაცი, რომელსაც მატჩის დროს სისულელეების ჩადენა შეუძლია, თან გუნდისთვის გადამწყვეტ მომენტში. შესაძლოა, ბარტეზი თვითონაა დამნაშავე, რომ საკუთარი იმიჯის ტყვე გახდა. მას უყვარს მაყურებლებზე თამაში, სკანდალები და ინტრიგა, გაზეთების პირველ გვერდებზე გამოჩენა, თუმც მის მაღალ კლასში ვერავინ დაეჭვდება. „მე არასოდეს დამავიწყდება ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის ფინალი — თქვა როჟე ლემერმა — 0:1-ს ვაგებდით, შეხვედრის დასრულებამდე ცოტა დრო რჩებოდა, როცა დელ პიერო ბარტეზთან პირისპირ გავიდა. გოლი გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ ფაბიენმა ბურთი სასწაულებრივ მოიგერია და საბოლოოდ ჩვენ ჩემპიონები გავხდით".

პოპულარობა და სკანდალი ფაბიენ ბარტეზს ყოველთვის თან დასდევდა. ალბათ ბევრს არც ახსოვს, რომ „მარსელში" ყოფნისას მას მარიხუანას გაბოლებაზე წაასწრეს და ექვსთვიანი დისკვალიფიკაცია მიაკრეს. „მონაკოში" გადასვლის შემდეგ თავისუფალ დროს ისე ერთობოდა, რომ მონაკოელთა მაშინდელი მწვრთნელი ტელევიზორში და გაზეთებში უფრო ხშირად ხედავდა, ვიდრე ვარჯიშზე. ალექს ფერგიუსონის „მანჩესტერ იუნაიტედში" გადასვლით ინგლისური ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებულ მეკარედ იქცა, მაგრამ მისმა ტუტუცობამ შოტლანდიელის მოთმინების ფიალა აავსო. უდროოდ და უადგილოდ ფინტაობას იწყებდა და სულელურ გოლებს უშვებდა. ერთხელ „ლიდსის" გიჟმაჟ ფანებს ბოთლებიც დაუშინა...

ბავშვობაში თმახუჭუჭა და ცელქი იყო. ქვეყანას 1971 წლის 28 ივნისს მოევლინა ესპანეთის საზღვართან მდებარე პატარა ქალაქ ლაველანში. ოჯახი არასაფეხბურთო გახლდათ. პაპა, ვენრან ბარტეზი, სახელგანთქმული მორაგბე ყოფილა, ისევე როგორც მამა — ალენ ბარტეზი, რომელიც ლაველანის მორაგბეთა პროფესიულ გუნდში თამაშობდა.

ამ მხარეში ფეხბურთი გართობის საგანი იყო და სერიოზულად არავინ ეკიდებოდა. ოვალური ბურთი მრგვალს აშკარად ჩაგრავდა. პატარა ფაბიენიც მრგვალით ერთობოდა, მას შემდეგ, რაც სიარული ისწავლა. დედა ჟოელი და და ჟერალდინია იხსენებენ: „დილიდან საღამომდე ბურთს დასდევდა, საუზმის დროს კი თეფშის გვერდით იდებდა".

სკოლაში სირული არ ეხალისებოდა. საგნებს ადვილად ითვისებდა, მაგრამ კლასში ერთ ადგილას ჯდომას ვერ იტანდა.

„სკოლა მოსაწყენი იყო — გაიხსენა ფაბიენ ბარტეზმა — მასწვლებლებს ყურს არ ვუგდებდი. ხან ვხატვდი, ხანაც თანაკლასელ გოგოებს წერილებს ვწერდი და გამუდმებით ვწრიალებდი".

ფაბიენი არჩევანის წინაშე დადგა: რაგბი თუ ფეხბურთი? ლოგიკური რაგბი გახლდათ, რადგან მამა-პაპის ნაკვალევზე უნდა გაევლო, მაგრამ ბარტეზის თანატოლი კატალონიელები, რომლებიც ლაველანში მრავლად ცხოვრობდნენ, ფეხბურთს ამჯობინებდნენ. საბოლოოდ არჩევანის გაკეთება მშობლების გაყრამ განაპირობა. ალენ ბარტეზს გაყრის შემდეგ ბიჭის წაყვანა სურდა, ცოლს კი ჟერალდინიას „უთმობდა", მაგრამ სასამართლომ პირიქით გადაწყვიტა. ჟოელ ბარტეზს, რომლის ძარღვებშიც ნახევრად კატალონიური სისხლი ჩქეფდა, სურდა, რომ ვაჟიშვილი მამის ხელობას, ანუ რაგბის არ გაჰყოლოდა. ფაბიენის მეგობართა წრეც უმეტესად კატალონიელებისგან შედგებოდა. გარდა ამისა, მსოფლიოს მომავალმა ჩემპიონმა მორაგბე მამა-პაპის ხელები ნახა და ოვალურ ბურთს მრგვალი ამჯობინა.

ფაბიენ ბარტეზის პირველი მწვრთნელი ემე გუდუ მკაცრი, მაგრამ მცოდნე, თავის საქმეზე შეყვარებული კაცი გახლდათ. მასთან ბევრმა ყმაწვილმა ფეხბურთელმა ვერ გაძლო, ბარტეზი კი დარჩა და პირველ დამრიგებელს ასე იხსენებს: „გუდუ თავისი სიმკაცრის, ზოგჯერ კი სისასტიკის მიუხედავად, კეთილი ადამიანი იყო. მას ჩვენგან კაცების შექმნა სურდა, რომლებსაც ფეხბურთის გარდა ცხოვრებისეული ნიუანსებიც ეცოდინებოდათ".

ფაბიენ ბარტეზის ბედი რაიან გიგზისას წააგავს. გიგზის მამაც პროფესიონალი მორაგბე იყო და ისიც ცოლს გაშორდა, მაგრამ უელსელისგან განსხვავებით, ფრანგს მამასთან ურთიერთობა არ გაუწყვეტია. „დასანანია, რომ ფაბიენი მორაგბე არ დადგა, მას ხომ საამისოდ ყველა მონაცემი ჰქონდა, მაგრამ ფეხბურთი გაცილებით პოპულარულია და მისი არჩევანიც ალბათ ამ ფაქტმა განაპირობა. მე მის თამაშს შეძლებისდაგვარად ყოველთვის ვუყურებ" — თქვა ალენ ბარტეზმა.

ემე გუდუმ ფაბიენი ჯერ თავდასხმაში გაამწესა, მერე მარცხენა ნახევარმცველად, მაგრამ როცა წამოიზარდა და 14 წლის გახდა, გუდუმ მისი რეაქცია მოიწონა და ადგილი კარში მიუჩინა.



ცნობილი ფრანგული კოცნა

ლაველანში პროფესიული საფეხბურთო კლუბი არ იყო. ფაბიენი მეზობელ ტულუზში გადაბარგდა და იქაურთა კარის დარაჯობა დაიწყო. სულ მალე „მარსელის" აგენტებმა შეამჩნიეს დ სამხრეთ საფრანგეთში წაიყვანეს, თუმცა ჩვენი გმირის თქმით, იგი ყოველთვის „სენტ ეტიენის" გულშემატკივარი იყო და „მარსელი" გულზე მაინცდამაინც არ ეხატებოდა.

ბერნარ ტაპის „მარსელი" იმ დროს საფრანგეთში უძლიერესი იყო და ზედიზედ რამდენჯერმე ოქროს დაეუფლა. გუნდი ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავიდა. სამხრეთელებს მეკარე სჭირდებოდათ. ვეტერანი კამერუნელი ჟოზეფ ანტუან ბელი სხვა კლუბში გადაბარგდა, კარის მეორე დარაჯი კორსიკელი პასკალ ოლმეტა ექსცენტრიული კაცი გახლდათ, მწვრთნელი მას ვერ ენდობოდა და ბარტეზიც კორსიკელის შემცვლელად აიყვანეს. სწორედ მაშინ გამოჩნდა პირველად მოკლესახელოებიან მაისურაში. ჩემპიონთა ლიგის ფინალში ბარტეზმა „მილანისგან" გოლი არ გაუშვა და ბერნარ ტაპის „მარსელმა" „შავ-წითლები" დაამარცხა.

ამის შემდეგ ტაპის „ვარანსიენთან" მატჩის მოსყიდვა დააბრალეს, დაუმტკიცეს და გუნდი მეორე დივიზიონში დააქვეითეს. მართალია, მარსელელთაგან ბევრი მაღალი კლასის ფეხბურთელი წავიდა, მაგრამ სამხრეთელებს პირველ დივიზიონში დაბრუნება არ გასჭირვებიათ, ფაბიენ ბარტეზს კი მარიხუანას მოწევაზე წაასწრეს და ექვსთვიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. „თავადაც არ ვიცი, როგორ ჩავვარდი — გაიხსენა მეკარემ — დრო იყო უცნაური. პირველ დივიზიონში ალზევება, ფაქტობრივად, განაღდებული გვქონდა და უდარდელად ვცხოვრობდით, ვერთობოდით და სიამოვნებას არ ვიკლებდით".

1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ფრანგთა ნაკრებისა და „მონაკოს" ვეტერანმა მეკარე ჟან ლუკ ეტორიმ კლუბის ბოსებს თავის შემცვლელად ფაბიენ ბარტეზი დაუსახელა. „ამ ბიჭს ყველაფერი აქვს იმისთვის, რომ დიდი მეკარე გახდეს. ცოტა მოუქნელი კი არის, მაგრამ არა უშავს, გამოასწორებს" — თქვა ეტორიმ. ბარტეზი მონაკოელებმა გადაიბირეს და იგი სამთავროში უკვე გაპრიალებული თავით მივიდა.

ბარტეზს თმის ცვენა 20 წლისას დაეწყო და ამის გამო თმების გადაპარსვას მიჰყო ხელი, რაც საბოლოოდ მისი საფირმო ნიშანი გახდა. ლორან ბლანის ამბორი მეკარის თავზე კი ლამის საფრანგეთის ნაკრების თილისმად იქცა.

„მონაკოში" გადასვლიდან მალევე თავპრიალამ ეტორის შემცვლელი მარკ დელაროში შეავიწროვა და ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაიკავა. თავიდან სამთავროში გულშემატკივრებმა არცთუ თბილად მიიღეს, რადგან „მარსელი" და „მონაკო" ძირძველი მტრები არიან, მაგრამ საბოლოოდ დააფასეს და შეიყვარეს.

მონაკოელთა რიგებში მაშინ პეტი, ტურამი, ლეგვინსკი, ანრი და ტრეზეგე თამაშობდნენ, მაგრამ ქომაგთა კერპი ფაბიენ ბარტეზი გახდა. იგი ემე ჟაკემ ნაკრებში მიიწვია, მაგრამ „სამფეროვანთა" კარი ბერნარ ლამას ხელში იყო და მისი კონკურენტობა ძნელი გახლდათ. ბარტეზი აღიარებს, რომ კონკურენტთან შეხმატკბილება ვერ შეძლო იმის გამო, რომ ბერნარი მას დაახლოებით ასე მიმართავდა: „როგორ ხარ, ბიჭუნა?" ემე ჟაკე ფაბიენს ენდო და ამ ამბავს ბერნარ ლამას ჩავარდნა მოჰყვა, რომელსაც მოგვიანებით შემცვლელივით მარიხუანაზე წაასწრეს და იძულებით დასვენება გამოუწერეს.

ბარტეზმა „სამფეროვანთა" კარი მიითვისა და მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. იგი პოპულარობით მხოლოდ ზიდანს თუ ჩამოუვარდებოდა. ხშირად ჩნდებოდა სატელევიზიო შოუებში და გაზეთების პირველ გვერდებზე. მოედანზე თამაშისას საცირკო ნომრების კეთება დაიწყო. ყვითელ პრესაში გაჩნდა ცნობა, რომ მონაკოს პრინცესა სტეფანიას შვილის მამა საფრანგეთის ნაკრების მეკარეა. ამასობაში კანადელი ტოპმოდელი ლინდა ევანჯელისტა გამოჩნდა და ბარტეზმა მასთან რომანი გააბა. მისმა პოპულარობამ თვით სამთავრო და „მონაკოს" პრეზიდენტი ჟან ლუი კამპორაც კი დაჩრდილა. ერთხელ რადიოჟურნალისტმა კამპორა მსმენელებს ისე წარუდგინა, როგორც „ბარტეზის შეფ"... [illegible] ...ზიდენტმა სტუდია...

ფაბიენ ბარტეზის გაყიდვაზე ფიქრი დაიწყეს. „მანჩესტერ იუნაიტედის" ვარიანტი გაჩნდა, მაგრამ ლინდამ ლაჟვარდოვანი სანაპიროდან ნისლიან ქვეყანაში წასვლა არ ინება.

ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის შემდეგ „მანჩესტერში" მეკარის ტრანსფერი მაინც შედგა — 8 მილიონი გირვანქა მანამდე მეკარეში არც ერთ ინგლისურ კლუბს არ გადაეხადა.

პირველივე სეზონში პრემიერლიგა მოიგო, ფერგიუსონი მისით კმაყოფილი იყო, მაგრამ მომდევნო წელს თავპრიალა აიჭრა. „დეპორტივოსთან" ჩემპიონთა ლიგის მატჩი გახსოვთ? მაშინ ფრანგმა სისულელეები ჩაიდინა და ამის მიზეზი თურმე ლინდასთან გაყრა ყოფილა. ახლა ყველაფერი რიგზეა, ფაბიენი და ტოპმოდელი შერიგდნენ. ლინდა ევანჯელისტა საფრანგეთის სამხრეთ სანაპიროს დაუბრუნდა. მისი მეუღლე ზამთარში „მარსელის" მეკარე გახდება, მაგრამ ვედრან რუნიე ძირითად შემადგენლობაში სტუმრისთვის ადგილის დათმობას არ აპირებს. ეგებ ლაველანში წავიდეს და მამა-პაპის ხელობას ეზიაროს? ბავშვობის კატალონიელ მეგობრებს ნახავს და ოვალურ ბურთსაც გაიხსენებს.

**მაკა ხუციშვილი**

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

### ინგლისი. პრემიერლიგა. XIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **22 ნოემბერი** | | | | | | |
| 16.30 | 001 | მანჩესტერი-ბლექბერნი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 002 | მანჩესტერი-ბლექბერნი 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 19.00 | 003 | ბირმინგემი-არსენალი | 4,0 | 3,3 | 1,8 | 1,8 | 1,24 | 1,16 |
| 19.00 | 004 | ევერტონი-ვულვერჰემპტონი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 19.00 | 005 | ლიდსი-ბოლტონი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| 19.00 | 006 | ლესტერი-ჩარლტონი | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |
| 19.00 | 007 | მიდლსბრო-ლივერპული | 3,0 | 3,2 | 2,25 | 1,54 | 1,28 | 1,32 |
| 19.00 | 008 | ნიუკასლი-სიტი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 19.00 | 009 | საუთჰემპტონი-ჩელსი | 4,0 | 3,3 | 1,8 | 1,8 | 1,24 | 1,16 |
| | | **23 ნოემბერი** | | | | | | |
| 20.05 | 010 | ტოტენჰემი-ასტონ ვილა | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| | | **24 ნოემბერი** | | | | | | |
| 24.00 | 011 | ფულემი-პორტსმუთი | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |

### გერმანია. ბუნდესლიგა. XIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **22 ნოემბერი** | | | | | | |
| 18.30 | 091 | ბოხუმი-ბაიერნი | 5,3 | 3,5 | 1,6 | 2,1 | 1,22 | 1,09 |
| 18.30 | 092 | დორტმუნდი-ლევერკუზენი | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 18.30 | 093 | შალკე-ჰანზა | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 18.30 | 094 | შტუტგარტი-ჰანოვერი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| | 095 | შტუტგარტი-ჰანოვერი 0:1 | 2,1 | 3,1 | 2,45 | | | |
| 8.30 | 096 | ვერდერი-ბოხუმი | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 8.30 | 097 | კიოლნი-ჰამბურგი | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |
| 8.30 | 098 | ვოლფსბურგი-მიონხენგლადბახი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| | | **23 ნოემბერი** | | | | | | |
| 20.30 | 099 | კაიზერსლაუტერნი-ჰერტა | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |
| 20.30 | 100 | ფრაიბურგი-აინტრახტი | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. XIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **21 ნოემბერი** | | | | | | |
| 22.00 | 103 | ლიუბეკი-ბურგჰაუზენი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 22.00 | 104 | დუისბურგი-მაინცი | 2.0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 22.00 | 105 | უნიონი-ოსნაბრიუკი | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 |
| 22.00 | 106 | არმინია-აუე | 1,5 | 3,5 | 6,5 | 1,04 | 1,21 | 2,27 |
| | | **23 ნოემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 107 | ფიურტი-კოტბუსი | 2,35 | 3,2 | 2,7 | 1,35 | 1,25 | 1,46 |
| 18.00 | 108 | უნტერჰახინგი-კარლსრუე | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 |
| 18.00 | 109 | ტრიერი-ობერჰაუზენი | 2,35 | 3,2 | 2,7 | 1,35 | 1,25 | 1,46 |
| 18.00 | 110 | რეგენსბურგი-ალენი | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| | | **24 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.15 | 111 | ალემანია-ნიურნბერგი | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XVIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **19 ნოემბერი** | | | | | | |
| 22.00 | 140 | მაინცი(მ)-კიკერსი | 2,0 | 3,3 | 3,2 | 1,24 | 1,23 | 1,62 |

### იტალია. სერია A. X ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **22 ნოემბერი** | | | | | | |
| 21.00 | 142 | მოდენა-იუვენტუსი | 5,0 | 3,2 | 1,7 | 1,95 | 1,26 | 1,11 |
| 23.30 | 143 | ინტერი-რეჯინა | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 144 | ინტერი-რეჯინა 0:1 | 1,7 | 3,1 | 3,3 | | | |
| | | **23 ნოემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 145 | ანკონა-ბრეშა | 2,45 | 2,9 | 2,9 | 1,32 | 1,32 | 1,45 |
| 18.00 | 146 | ბოლონია-რომა | 4,2 | 3,0 | 1,9 | 1,75 | 1,3 | 1,16 |
| 18.00 | 147 | ემპოლი-პარმა | 3,8 | 3,1 | 1,95 | 1,7 | 1,28 | 1,19 |
| 18.00 | 148 | ლაციო-პერუჯა | 1,4 | 3,8 | 8,0 | 1,02 | 1,19 | 2,57 |
| | 149 | ლაციო-პერუჯა 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,5 | | | |
| 18.00 | 150 | ლეჩე-სამპდორია | 2,4 | 3,0 | 2,9 | 1,33 | 1,31 | 1,47 |
| 18.00 | 151 | უდინეზე-სიენა | 1,75 | 3,2 | 4,6 | 1,13 | 1,26 | 1,88 |
| 23.30 | 152 | კიევო-მილანი | 4,2 | 3,1 | 1,85 | 1,78 | 1,28 | 1,15 |

### იტალია. სერია B. XV ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **20 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.30 | 154 | ალბინოლეფე-კალიარი | 2,45 | 2,5 | 3,2 | 1,23 | 1,38 | 1,4 |
| 23.30 | 155 | ბარი-პესკარა | 2,15 | 2,7 | 3,6 | 1,19 | 1,34 | 1,54 |
| 23.30 | 156 | კატანია-ატალანტა | 2,7 | 2,6 | 2,9 | 1,32 | 1,39 | 1,37 |
| 23.30 | 157 | კომო-სალერნიტანა | 2,3 | 2,6 | 3,4 | 1,22 | 1,37 | 1,47 |
| 23.30 | 158 | ფიორენტინა-აველინო | 1,4 | 3,8 | 7,5 | 1,02 | 1,17 | 2,52 |
| 23.30 | 159 | ჯენოა-ტრიესტინა | 1,75 | 2,8 | 5,3 | 1,07 | 1,31 | 1,83 |
| 23.30 | 160 | ნაპოლი-ტერნანა | 2,35 | 2,6 | 3,3 | 1,23 | 1,37 | 1,45 |
| 23.30 | 161 | პიაჩენცა-ასკოლი | 1,65 | 2,8 | 7,0 | 1,03 | 1,33 | 2 |
| 23.30 | 162 | ტრევიზო-პალერმო | 2,8 | 2,6 | 2,7 | 1,34 | 1,37 | 1,32 |
| 23.30 | 163 | ვენეცია-მესინა | 2,2 | 2,6 | 3,6 | 1,19 | 1,36 | 1,5 |
| 23.30 | 164 | ვერონა-ლივორნო | 2,4 | 2,6 | 3,2 | 1,24 | 1,37 | 1,43 |
| 23.30 | 165 | ვიჩენცა-ტორინო | 2,6 | 2,6 | 2,9 | 1,3 | 1,37 | 1,37 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. XII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **22 ნოემბერი** | | | | | | |
| 22.30 | 208 | სოსიედადი-მალიორკა | 1,7 | 3,3 | 4,8 | 1,12 | 1,25 | 1,95 |
| 22.30 | 209 | ბეტისი-დეპორტივო | 2,7 | 3,1 | 2,45 | 1,44 | 1,28 | 1,36 |
| 00.30 | 210 | ვილიარეალი-ბარსელონა | 2,9 | 3,1 | 2,35 | 1,49 | 1,29 | 1,33 |
| | | **23 ნოემბერი** | | | | | | |
| 20.00 | 211 | ვალიადოლიდი-ატლეტიკო | 2,3 | 3,1 | 3,0 | 1,32 | 1,3 | 1,52 |
| 20.00 | 212 | მალაგა-ოსასუნა | 2,0 | 3,1 | 3,6 | 1,21 | 1,28 | 1,66 |
| 20.00 | 213 | ესპანიოლი-სევილია | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,3 | 1,39 |
| 20.00 | 214 | სელტა-ბილბაო | 2,0 | 3,1 | 3,6 | 1,21 | 1,28 | 1,66 |
| 20.00 | 215 | რასინგი-სარაგოსა | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,26 | 1,81 |
| 22.00 | 216 | რეალი-ალბასეტე | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| | 217 | რეალი-ალბასეტე 0:1 | 1,35 | 4,0 | 4,2 | | | |
| 24.00 | 218 | მურსია-ვალენსია | 4,6 | 3,2 | 1,75 | 1,88 | 1,26 | 1,13 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი. XIV ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **21 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.30 | 235 | ლიონი-სტრასბური | 1,55 | 3,4 | 6,5 | 1,06 | 1,25 | 2,23 |
| | | **22 ნოემბერი** | | | | | | |
| 20.15 | 236 | მონაკო-ლანსი | 1,55 | 3,4 | 6,5 | 1,06 | 1,25 | 2,23 |
| 23.00 | 237 | ბასტია-ნანტი | 2,1 | 3,1 | 3,4 | 1,25 | 1,29 | 1,62 |
| 23.00 | 238 | ბორდო-რენი | 1,7 | 3,3 | 4,8 | 1,12 | 1,25 | 1,95 |
| 23.00 | 239 | გენგამი-სოშო | 2,45 | 3,1 | 2,7 | 1,36 | 1,28 | 1,44 |
| 23.00 | 240 | ლილი-მარსელი | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,3 | 1,39 |
| 23.00 | 241 | მეცი-ოსერი | 2,5 | 3,1 | 2,6 | 1,38 | 1,27 | 1,41 |
| 23.00 | 242 | მონპელიე-აიაჩო | 1,8 | 3,1 | 4,4 | 1,13 | 1,27 | 1,81 |
| 23.00 | 243 | ტულუზი-ლე მანი | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| | | **23 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.45 | 244 | პსჟ-ნიცა | 1,7 | 3,2 | 5,0 | 1,11 | 1,26 | 1,95 |

### ჰოლანდია. I დივიზიონი. XII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **21 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.00 | 248 | ვალვაიკი-გრონინგენი | 1,75 | 3,4 | 4,2 | 1,15 | 1,23 | 1,87 |
| | | **22 ნოემბერი** | | | | | | |
| 22.30 | 249 | ტილბურგი-ვოლენდამი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| | 250 | ტილბურგი-ვოლენდამი 0:1 | 2,05 | 3,2 | 2,45 | | | |
| 22.30 | 251 | ზვოლე-ბრედა | 2,8 | 3,3 | 2,3 | 1,51 | 1,26 | 1,35 |
| 23.00 | 252 | ნაიმეგენი-პსვ | 6,5 | 3,6 | 1,5 | 2,31 | 1,21 | 1,05 |
| 23.00 | 253 | ალკმაარი-როდა | 1,85 | 3,4 | 3,6 | 1,19 | 1,22 | 1,74 |
| 23.00 | 254 | ფეიენოორდი-ვიტესი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 255 | ფეიენოორდი-ვიტესი 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| | | **23 ნოემბერი** | | | | | | |
| 17.30 | 256 | ტვენტე-დენ ჰააგი | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| 17.30 | 257 | როზენდალი-უტრეხტი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| 17.30 | 258 | აიაქსი-ჰერენვენი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 259 | აიაქსი-ჰერენვენი 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |

### ბელგია. I დივიზიონი. XIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **21 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.30 | 272 | მონსი-ანდერლეხტი | 7,0 | 4,2 | 1,4 | 2,62 | 1,16 | 1,04 |
| 23.30 | 273 | ბეერსხოტი-ბრიუგე | 5,6 | 3,6 | 1,55 | 2,19 | 1,21 | 1,08 |
| | | **22 ნოემბერი** | | | | | | |
| 21.00 | 274 | გენკი-სტ.ტრუიდენი | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 23.00 | 275 | ლოკერენი-შარლერუა | 1,6 | 3,6 | 5,0 | 1,1 | 1,21 | 2,09 |
| 23.00 | 276 | ლიერსი-ბევერენი | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| 23.00 | 277 | მუსკრონი-ჰეუსდენი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 278 | მუსკრონი-ჰეუსდენი 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |
| 23.00 | 279 | სტანდარდი-ვესტერლო | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **23 ნოემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 280 | სერკლი-გენტი | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |
| 18.00 | 281 | ლუვიე-ანტვერპენი | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| | | **ავსტრია. ბუნდესლიგა. XVIII ტური** | | | | | | |
| | | **22 ნოემბერი** | | | | | | |
| 18.30 | 296 | ადმირა-კერნტენი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 18.30 | 297 | პაშინგი-ავსტრია | 2,9 | 3,2 | 2,3 | 1,52 | 1,28 | 1,33 |
| 18.30 | 298 | რაპიდი-ბრეგენცი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 18.30 | 299 | ზალცბურგი-მატერსბურგი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| | | **23 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 300 | გრაცერი-შტურმი | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| | | **შვეიცარია. სუპერლიგა. XVII ტური** | | | | | | |
| | | **23 ნოემბერი** | | | | | | |
| 17.30 | 310 | ვილი-სტ.გალენი | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| 19.15 | 311 | ბაზელი-გრასჰოპერი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 19.15 | 312 | ქსამაქსი-თუნი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 19.15 | 313 | იანგ ბოისი-სერვეტი | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| 19.15 | 314 | ციურიხი-აარაუ | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| | | **დანია. სუპერლიგა. XVIII ტური** | | | | | | |
| | | **22 ნოემბერი** | | | | | | |
| 20.00 | 329 | ჰერფიოლგე-ბრიონდბიუ | 5,0 | 3,6 | 1,6 | 2,09 | 1,21 | 1,1 |
| | | **23 ნოემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 330 | მიდტიულანდი-ვიბორგი | 1,8 | 3,4 | 3,8 | 1,17 | 1,22 | 1,79 |
| 18.00 | 331 | ოლბორგი-ოდენსე | 2,35 | 3,3 | 2,7 | 1,37 | 1,25 | 1,48 |
| 18.00 | 332 | ნორდსიელანდი-ესბიერგი | 3,4 | 3,2 | 2,05 | 1,64 | 1,27 | 1,24 |
| 18.00 | 333 | ფრემი-აკადემისკი | 2,0 | 3,3 | 3,4 | 1,24 | 1,25 | 1,67 |
| 20.35 | 334 | კოპენჰაგენი-ორჰუსი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 335 | კოპენჰაგენი-ორჰუსი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| | | **ნორვეგია. ფლეი ოფი.** | | | | | | |
| | | **22 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 337 | ვოლერენგა-სანდეფიორდი | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| | | **თურქეთი. სუპერლიგა. XIII ტური** | | | | | | |
| | | **22 ნოემბერი** | | | | | | |
| 15.30 | 360 | მალატია-გაზიანთეფი | 1,75 | 3,3 | 4,2 | 1,14 | 1,23 | 1,84 |
| 15.30 | 361 | ანკარაგიუჯუ-გენჩლერბირლიგი | 2,5 | 3,2 | 2,45 | 1,4 | 1,23 | 1,38 |
| 19.00 | 362 | დენიზლი-გალათასარაი | 4,2 | 3,3 | 1,75 | 1,84 | 1,23 | 1,14 |
| 21.00 | 363 | ბეშიქთაში-კონია | 1,1 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,01 | 4,19 |
| | 364 | ბეშიქთაში-კონია 0:1 | 1,35 | 3,8 | 4,2 | | | |
| | | **23 ნოემბერი** | | | | | | |
| 15.30 | 365 | ბურსა-სებათი | 1,65 | 3,4 | 4,8 | 1,11 | 1,22 | 1,99 |
| 15.30 | 366 | რიზე-ადანა | 1,5 | 3,6 | 6,0 | 1,05 | 1,2 | 2,25 |
| 15.30 | 367 | ტრაბზონი-ელაზიგი | 1,2 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,33 |
| | 368 | ტრაბზონი-ელაზიგი 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |
| 15.30 | 369 | ისთანბული-დიარბაქირი | 1,75 | 3,3 | 4,2 | 1,14 | 1,23 | 1,84 |
| 21.00 | 370 | სამსუნი-ფენერბახჩე | 4,4 | 3,4 | 1,7 | 1,91 | 1,22 | 1,13 |
| | | **ჩეხეთი. გამბრინუს ლიგა. XV ტური** | | | | | | |
| | | **21 ნოემბერი** | | | | | | |
| 20.15 | 372 | სლავია-ბუდეიოვიცე | 1,25 | 4,6 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,04 |
| | 373 | სლავია-ბუდეიოვიცე 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| | | **22 ნოემბერი** | | | | | | |
| 17.25 | 374 | იაბლონეცი-სპარტა | 4,4 | 3,5 | 1,65 | 1,94 | 1,2 | 1,12 |
| 20.15 | 375 | ბლშანი-სინოტი | 3,1 | 3,0 | 2,2 | 1,52 | 1,28 | 1,26 |
| 20.15 | 376 | პლზენი-სიგმა | 2,6 | 2,9 | 2,5 | 1,37 | 1,27 | 1,34 |
| 20.15 | 377 | ბრნო-პრჟიბრამი | 1,6 | 3,5 | 4,8 | 1,09 | 1,2 | 2,02 |
| 20.15 | 378 | ზლინი-ტეპლიცე | 2,45 | 2,9 | 2,7 | 1,32 | 1,28 | 1,39 |
| | | **23 ნოემბერი** | | | | | | |
| 16.30 | 379 | ჟიჟკოვი-ლიბერეცი | 2,6 | 2,9 | 2,5 | 1,37 | 1,27 | 1,34 |
| | | **24 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.40 | 380 | ბანიკი-ოპავა | 1,2 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,33 |
| | 381 | ბანიკი-ოპავა 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **არგენტინა. აპერტურა** | | | | | | |
| | | **20 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.10 | 454 | ბოკა ხუნიორსი-სან ლორენსო | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,17 | 1,22 | 1,69 |
| | | **საფრანგეთი. თასი. VII ეტაპი** | | | | | | |
| | | **21 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.15 | 512 | ამიენი-სედანი | 2,0 | 2,8 | 4,0 | 1,16 | 1,33 | 1,64 |
| | | **22 ნოემბერი** | | | | | | |
| 21.00 | 513 | რუანი-კრეტეი | 2,35 | 2,8 | 3,1 | 1,27 | 1,33 | 1,47 |
| | | **მჩ შესარჩევი მატჩები** | | | | | | |
| | | **19 ნოემბერი** | | | | | | |
| 01.45 | 531 | ეკვადორი-პერუ | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 03.05 | 532 | ბრაზილია-ურუგვაი | 1,35 | 4,0 | 9,0 | 1 | 1,17 | 2,76 |
| 06.05 | 533 | კოლუმბია-არგენტინა | 4,0 | 3,3 | 1,8 | 1.8 | 1,24 | 1,16 |
| | | **ეჩ. ფლეი ოფი. II მატჩები** | | | | | | |
| | | **19 ნოემბერი** | | | | | | |
| 20.30 | 536 | სლოვენია-ხორვატია | 2,45 | 3,0 | 2,8 | 1,34 | 1,3 | 1,44 |
| 22.30 | 537 | ნორვეგია-ესპანეთი | 3,6 | 3,1 | 2,0 | 1,66 | 1,28 | 1,21 |
| 22.30 | 538 | თურქეთი-ლატვია | 1,2 | 5,0 | 12,0 | 1 | 1,09 | 3,52 |
| 23.30 | 539 | ჰოლანდია-შოტლანდია | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3.33 |
| 23.30 | 540 | უელსი-რუსეთი | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| | | **ეჩ. ფლეი ოფი. ფინალურ ეტაპზე გასვლა** | | | | | | |
| | | **19 ნოემბერი** | | | | | | |
| 20.30 | 6001 | სლოვენია-ხორვატია | 1,6 | 2,0 | | | | |
| 22.30 | 6002 | ნორვეგია-ესპანეთი | 4,0 | 1,15 | | | | |
| 22.30 | 6003 | თურქეთი-ლატვია | 1,35 | 2,3 | | | | |
| 23.30 | 6004 | ჰოლანდია-შოტლანდია | 1,35 | 2,3 | | | | |
| 23.30 | 6005 | უელსი-რუსეთი | 1,9 | 1,6 | | | | |
| | | **ეჩ (21 წლამდე). ფლეი ოფი. II მატჩები.** | | | | | | |
| | | **19 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.30 | 547 | ჩეხეთი(21)-შვეიცარია(21) | 1,45 | 3,8 | 6,0 | 1,04 | 1,16 | 2,32 |
| 21.00 | 548 | პოლონეთი(21)-ბელარუსი(21) | 1,6 | 3,5 | 4,8 | 1,09 | 1,2 | 2,02 |
| 24.00 | 549 | იტალია(21)-დანია(21) | 1,3 | 4,2 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,75 |
| 00.45 | 550 | ესპანეთი(21)-შვედეთი(21) | 1,3 | 4,2 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,75 |
| | | **ამხანაგური მატჩები** | | | | | | |
| | | **19 ნოემბერი** | | | | | | |
| 14.20 | 556 | იაპონია-კამერუნი | 2,2 | 3,0 | 3,1 | 1,26 | 1,28 | 1,52 |
| 19.00 | 557 | უნგრეთი-ესტონეთი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1.2 | 2.21 |
| 24,00 | 558 | კოსტა რიკა-ფინეთი | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,15 | 1,22 | 1,73 |
| 01.15 | 559 | პორტუგალია-ქუვეითი | 1,05 | 7,5 | 17,0 | 1 | 1 | 5.2 |
| 08.00 | 560 | მექსიკა-ისლანდია | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |
| | | **20 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.00 | 561 | ლუქსემბურგი-მოლდოვა | 4,6 | 3,4 | 1,65 | 1.95 | 1,21 | 1.11 |
| | | **ჰოკეი. გერმანია** | | | | | | |
| | | **20 ნოემბერი** | | | | | | |
| 22.30 | 1076 | აუგსბურგი-ფრანკფურტი | 2,15 | 4,4 | 2,3 | 1,44 | 1,11 | 1,51 |
| | | **რაგბი. მსოფლიოს თასი** | | | | | | |
| | | **20 ნოემბერი** | | | | | | |
| 13.00 | 1351 | ახალი ზელანდია-საფრანგეთი | | | | | | |
| | | **22 ნოემბერი** | | | | | | |
| 13.00 | 1353 | ავსტრალია-ინგლისი | 2,3 | 17,0 | 1,6 | 2,02 | 1 | 1,46 |
| | 1354 | ავსტრალია-ინგლისი 4:0 | 1,85 | 12,0 | 1,85 | | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| **7001** | ავსტრალია მოიგებს | 1-5 ქულით | 5,0 |
| | ავსტრალია მოიგებს | 6-10 ქულით | 6,0 |
| | ავსტრალია მოიგებს | 11-15 ქულით | 8,0 |
| | ავსტრალია მოიგებს | 16 ან მეტი ქულით | 8,0 |
| | ინგლისი მოიგებს | 1-5 ქულით | 4,0 |
| | ინგლისი მოიგებს | 6-10 ქულით | 4,2 |
| | ინგლისი მოიგებს | 11-15 ქულით | 6,5 |
| | ინგლისი მოიგებს | 16 ან მეტი ქულით | 6,5 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| | | **19 ნოემბერი** | | |
| 20.30 | 5303 | სლოვენია-ხორვატია | 1,7 | 1,9 |
| 22.30 | 5304 | ნორვეგია-ესპანეთი | 1,7 | 1,9 |
| 22.30 | 5305 | თურქეთი-ლატვია | 1,9 | 1,7 |
| 23.30 | 5306 | ჰოლანდია-შოტლანდია | 1,9 | 1,7 |
| 23.30 | 5307 | უელსი-რუსეთი | 1,7 | 1,9 |
| 01.45 | 5308 | ეკვადორი-პერუ | 1,7 | 1,9 |
| 03.05 | 5309 | ბრაზილია-ურუგვაი | 1,85 | 1,75 |
| 06.05 | 5310 | კოლუმბია-არგენტინა | 1,7 | 1,9 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **19 ნოემბერი** | | |
| 20.30 | 5403 | სლოვენია-ხორვატია | 1,85 | 1,95 |
| 22.30 | 5404 | ნორვეგია-ესპანეთი | 2,1 | 1,75 |
| 22.30 | 5405 | თურქეთი-ლატვია | 1,2 | 4,0 |
| 23.30 | 5406 | ჰოლანდია-შოტლანდია | 1,2 | 4,0 |
| 23.30 | 5407 | უელსი-რუსეთი | 1,8 | 2,0 |
| 01.45 | 5408 | ეკვადორი-პერუ | 1,5 | 2,6 |
| 03.05 | 5409 | ბრაზილია-ურუგვაი | 1,25 | 3,7 |
| 06.05 | 5410 | კოლუმბია-არგენტინა | 2,4 | 1,6 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | **19 ნოემბერი** | | | |
| 20.30 | 5503 | სლოვენია-ხორვატია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 22.30 | 5504 | ნორვეგია-ესპანეთი | 3,0 | 2.8 | 2,0 |
| 22.30 | 5505 | თურქეთი-ლატვია | 3,0 | 2.8 | 2,0 |
| 23.30 | 5506 | ჰოლანდია-შოტლანდია | 3,0 | 2.8 | 2,0 |
| 23.30 | 5507 | უელსი-რუსეთი | 3,0 | 2.8 | 2,0 |
| 01.45 | 5508 | ეკვადორი-პერუ | 3,0 | 2.8 | 2,0 |
| 03.05 | 5509 | ბრაზილია-ურუგვაი | 3,0 | 2.8 | 2,0 |
| 06.05 | 5510 | კოლუმბია-არგენტინა | 3,0 | 2.8 | 2,0 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო)
## (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

19 ნოემბერი

| | 2,5-ზე ნაკლები | 2,5-ზე მეტი |
|---|---|---|
| [illegible] | 1.75 | 1,85 |
| [illegible] | 1.8 | 1,8 |
| [illegible] | 2.0 | 1.6 |
| [illegible] 5206 [illegible] | 2.0 | 1.6 |
| [illegible] | 1.8 | 1,8 |
| [illegible] | 1.85 | 1,75 |
| [illegible] | 2,1 | 1,55 |
| [illegible] | 1.85 | 1,75 |

## I ტაიმის შედეგი

19 ნოემბერი

| | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|
| [illegible] | 2.9 | 2.05 | 3.4 | 1.2 | 1.56 | 1.27 |
| [illegible] | 4.2 | 2.05 | 2.45 | 1.37 | 1.54 | 1.11 |
| [illegible] | 1.4 | 3.4 | 8.0 | 1 | 1.19 | 2.38 |
| [illegible] | 1.4 | 3.4 | 8.0 | 1 | 1.19 | 2.38 |
| [illegible] | 2.8 | 2.05 | 3.5 | 1.18 | 1.55 | 1.29 |
| [illegible] | 2.2 | 2.15 | 4.8 | 1.08 | 1.5 | 1.48 |
| [illegible] | 1.55 | 2.9 | 7.5 | 1.01 | 1.28 | 2.09 |
| [illegible] | 4.6 | 2.2 | 2.2 | 1.48 | 1.48 | 1.1 |

## ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 22.11 | 16.30 | 5601 | ინგლისი პლ (XIII) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |
| 22.11 | 18.30 | 5602 | გერმანია ბლ (XIII) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |
| 22.11 | 21.00 | 5603 | იტალია A (X) | 23 და ნაკლები – 1,9; 25 და მეტი – 1,9 |
| 22.11 | 22.30 | 5604 | ესპანეთი Iდ (XII) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |
| 21.11 | 23.30 | 5605 | საფრანგეთი Iდ (XIV) | 21 და ნაკლები – 1,9; 23 და მეტი – 1,9 |
| 21.11 | 23.00 | 5607 | ჰოლანდია Iდ (XII) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |
| 21.11 | 23.30 | 5608 | ბელგია Iდ (XIII) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19 ნოემბერი | | | | | | | | | | |
| 20.30 | 5103' სლოვენია-ხორვატია | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 22.30 | 5104 ნორვეგია-ესპანეთი | 5,6 | 10,0 | 20,0 | 6,5 | 4,4 | 4,0 | 20,0 | 10,0 | 3,0 |
| 22.30 | 5105 თურქეთი-ლატვია | 1,4 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 5,6 | 20,0 | 30,0 | 20,0 | 20,0 |
| 23.30 | 5106 ჰოლანდია-შოტლანდია | 1,5 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 5,6 | 17,0 | 25,0 | 17,0 | 17,0 |
| 23.30 | 5107 უელსი-რუსეთი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 01.45 | 5108 ეკვადორი-პერუ | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 03.05 | 5109 ბრაზილია-ურუგვაი | 1,7 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,6 | 15,0 | 25,0 | 14,0 | 14,0 |
| 06.05 | 5110 კოლუმბია-არგენტინა | 6,5 | 10,0 | 20,0 | 7,5 | 4,6 | 3,5 | 20,0 | 10,0 | 2,5 |

## მეორე ეტაპზე გაიმარჯვეს

1 ადგილი - გია ვეშაპიძე
2 ადგილი - ალექსანდრე ნუცუბიძე
3 ადგილი - დიმიტრი ჟღენტი

გამარჯვებულები გამოცხადდნენ გაზეთის რედაქციაში პარასკევს, 21 ნოემბერს, 17 საათზე

## საკონკურსო ბიულეტენები მიიღება

1. ტოტალიზატორ „ტაიმში", კოსტავას ქ.№37 .
2. ცენტრი „ვაგზლის მოედანი" პირველი გამოსასვლელი „პლანეტის" ჯიხური №8
3. ცენტრი „გოცირიძე" „ფორტე 4 "
4. [illegible] ქუჩის კუთხეში „პლანეტის" ჯიხური №18 ატელიეს წინ
5. ცენტრი „ვარკეთილი" „ფორტე 2"
6 ცენტრი „სამგორი" „ფორტე 9"
7 ცენტრი „თავისუფლების მოედანი" მაღაზია „თბილისი"
8 ცენტრი „ახმეტელი" „ფორტე 7"
9 [illegible] „[illegible]" „პლანეტის" ჯიხური №20
10. ცენტრი „დიდუბესთან" „პლანეტის" ჯიხური №17
11. გოთასახელელ ხიდთან „პლანეტის" ჯიხური №16
12. მარჯანიშვილის მოედანზე „პლანეტის" ჯიხური №15
13. „მაცნეს" ჯიხური №22 (უნივერსიტეტის პირდაპირ)
14. „მაცნეს" ჯიხური №29 (მეცხრე საავადმყოფოს პირდაპირ)
15. ქუთაისში ნიკეა[illegible]ის ქ. 1 ოთახი 21 (მესხიშვილის თეატრის უკან)
16. [illegible]ჩოლოყაშვილის №13 (ავთო გადახაბაძე, 12-დან 15 საათამდე, 7-45-82)
[illegible] პუნქტი აღნიშნული ფორტეთი მდებარეობს მეტროში

## II ეტაპის XI ტურის წინასწარი შედეგები

ადგ. ----- გვარი, სახელი, მამის სახელი ---------- ქ.

1 ---- [illegible] ვაჟა ანდროს ძე ---------- 39
2-3 ---- [illegible] ჯანის ძე ---------- 37
2-3 ---- [illegible] ვარლამის ძე ---------- 37
4-6 ---- [illegible]ხალაიშვილი თეიმურაზ მურმანის ძე ---------- 36
4-6 ---- [illegible] დავით ბორისის ძე ---------- 36
4-6 ---- [illegible] თარის ძე ---------- 36
7-8 ---- [illegible] გიორგი ჯამბულის ძე ---------- 34
7-8 ---- [illegible] დავით გივის ძე ---------- 34
9-10 ---- ფარცვანია ფრიდონ ლუდას ძე ---------- 33
9-10 ---- [illegible] არჩილ ბიძინას ძე ---------- 33
11 ---- [illegible]შვილი ამირან ილიას ძე ---------- 32
12-17 ---- გულუა კახაბერ არველოდის ძე ---------- 31
12-17 ---- გურგენიძე ზურაბ ანტონის ძე ---------- 31
12-17 ---- [illegible] გრიგოლის ძე ---------- 31
12-17 ---- კალანდარიშვილი ზაალ ალექსანდრეს ძე ---------- 31
12-17 ---- კაციტაძე იუზა დიმიტრის ძე ---------- 31
12-17 ---- ჭანტურია სოსო კობას ძე ---------- 31
18 ---- სულაშვილი ვაჟა თედოს ძე ---------- 30
19-25 ---- ალექსეროვი [illegible] საბინის ძე ---------- 29
19-25 ---- ბუხნიკაშვილი ხვიჩა რევაზის ძე ---------- 29
19-25 ---- გვინჩიძე გურამ ვალერის ძე ---------- 29
19-25 ---- გორელაშვილი დავით გურამის ძე ---------- 29
19-25 ---- [illegible] ლევან ვახტანგის ძე ---------- 29
19-25 ---- [illegible] აკაკი დომენტის ძე ---------- 29
19-25 ---- ძნელაძე თეიმურაზ კამოს ძე ---------- 29

**შედეგების გაპროტესტება შეიძლება 24 ნოემბრამდე 11-დან 15 საათამდე გაზეთ „ახალი ვერსიის" რედაქციაში, აბლაძის 39ა, მე-3 სართული (გარდა პარასკევისა და კვირისა)**

## საუკეთესო პროგნოზისტის კონკურსი „ფეხბურთი 2003-2004"

**III ეტაპი, XII ტური**

სახელი, მამის სახელი, გვარი ----------

----------

**რჩევა კონკურსანტთან ჩაბარების ბოლო ვადაა 18.11.03**

შტამპის ადგილი

**III ეტაპი, XII ტური**
ჩაბარების ბოლო ვადაა 18.11.03

სახელი, მამის სახელი, გვარი ----------

----------

მისამართი----------

----------

----------

საკონტაქტო ტელეფონი ----------

| დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) | დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 19.11 | ნიდერლანდები - შოტლანდია | | 23.30 | 19.11 | ნიდერლანდები - შოტლანდია | |
| 20.30 | 19.11 | სლოვენია - ხორვატია | | 20.30 | 19.11 | სლოვენია - ხორვატია | |
| 23.30 | 19.11 | უელსი - რუსეთი | | 23.30 | 19.11 | უელსი - რუსეთი | |
| 20.30 | 19.11 | თურქეთი - ლატვია | | 20.30 | 19.11 | თურქეთი - ლატვია | |
| 22.30 | 19.11 | ნორვეგია - ესპანეთი | | 22.30 | 19.11 | ნორვეგია - ესპანეთი | |
| 23.45 | 19.11 | ესპანეთი - შვეცია (21წ) | | 23.45 | 19.11 | ესპანეთი - შვეცია (21წ) | |
| 19.30 | 19.11 | ჩეხეთი - შვეიცარია(21წ) | | 19.30 | 19.11 | ჩეხეთი - შვეიცარია(21წ) | |
| 24.00 | 19.11 | იტალია - დანია(21წ) | | 24.00 | 19.11 | იტალია - დანია(21წ) | |

**III ეტაპი, XII ტური** | **III ეტაპი, XII ტური**

| დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) | დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 19.11 | ნიდერლანდები - შოტლანდია | | 23.30 | 19.11 | ნიდერლანდები - შოტლანდია | |
| 20.30 | 19.11 | სლოვენია - ხორვატია | | 20.30 | 19.11 | სლოვენია - ხორვატია | |
| 23.30 | 19.11 | უელსი - რუსეთი | | 23.30 | 19.11 | უელსი - რუსეთი | |
| 20.30 | 19.11 | თურქეთი - ლატვია | | 20.30 | 19.11 | თურქეთი - ლატვია | |
| 22.30 | 19.11 | ნორვეგია - ესპანეთი | | 22.30 | 19.11 | ნორვეგია - ესპანეთი | |
| 23.45 | 19.11 | ესპანეთი - შვეცია (21წ) | | 23.45 | 19.11 | ესპანეთი - შვეცია (21წ) | |
| 19.30 | 19.11 | ჩეხეთი - შვეიცარია(21წ) | | 19.30 | 19.11 | ჩეხეთი - შვეიცარია(21წ) | |
| 24.00 | 19.11 | იტალია - დანია(21წ) | | 24.00 | 19.11 | იტალია - დანია(21წ) | |

ყურადღება! საკონკურსო ბიულეტენების ჩაბარება შეიძლება 19 ნოემბერს 17 საათამდე ტოტალიზატორ „ტაიმში" და გაზეთ „ახალი ვერსიის" რედაქციაში (მხოლოდ 19 ნოემბერს)

## მესამე ეტაპი. მდგომარეობა თერთმეტი ტურის შემდეგ (წინასწარი შედეგები)

ადგ. გვარი, სახელი, მამის სახელი ქულა

1 ------ ვეშაპიძე გია შოთას ძე ---------- 288(41-28-43-33-23-38-44-44-37-41-18)
2 ------ ფეიქრიშვილი მერაბ ჯემალის ძე ---------- 283(36-23-41-39-21-44-25-38-41-44-23)
3 ------ ბარბაქაძე ზურაბ გიორგის ძე ---------- 279(41-31-33-31-16-49-41-43-33-39-26)
4 ------ ბუხნიკაშვილი ხვიჩა რევაზის ძე ---------- 275(36-28-41-36-20-36-31-44-41-41-29)
5 ------ სულაშვილი ვაჟა თედოს ძე ---------- 272(36-36-41-38-26-36-34-47-34-38-30)
6 ------ ჭუმბურიძე კახა ზაურის ძე ---------- 266(44-31-36-28-18-0-31-41-42-41-23)
7 ------ ფარცვანია ფრიდონ ლუდას ძე ---------- 265(44-25-41-36-15-41-28-36-34-33-33)
8 ------ გოგონაძე ჯაბა ბადრის ძე ---------- 264(41-26-44-28-10-36-36-38-31-38-21)
9 ------ ფირცხალაიშვილი თეიმურაზ მურმანის ძე ---------- 263(28-23-23-37-33-41-31-40-43-33-36)
10 ------ კერესელიძე იური პეტრეს ძე ---------- 261(36-15-34-23-5-42-28-46-31-44-26)
11-12 --- კაციტაძე იუზა დიმიტრის ძე ---------- 260(46-28-35-28-30-35-31-38-39-36-31)
11-12 --- სოლოლაშვილი თეიმურაზ შოთას ძე ---------- 260(31-20-41-42-23-38-34-35-34-36-24)
13 ------ ხუროშვილი გიორგი გელას ძე ---------- 258(28-30-39-31-18-41-42-30-36-39-21)
14 ------ ჭანტურია სოსო კობას ძე ---------- 257(36-0-36-20-0-31-52-33-31-38-31)
15-17 --- ბახტაძე ირაკლი ნიკოლოზის ძე ---------- 256(33-20-30-28-18-41-33-41-34-44-18)
15-17 --- ნინიაშვილი ვაჟა ანდროს ძე ---------- 256(39-10-23-31-23-44-34-33-36-31-39)
15-17 --- წიკლაური მაია ინგურის ას ---------- 256(39-33-36-33-26-38-34-36-37-36-18)
18 ------ გვინჩიძე გურამ ვალერის ძე ---------- 255(36-28-33-33-18-38-39-40-36-33-29)
19-20 --- მირიანაშვილი მიხეილ გიორგის ძე ---------- 254(28-20-38-31-18-44-0-46-31-36-20)
19-20 --- ჟღენტი დიმიტრი გიორგის ძე ---------- 254(42-33-44-26-28-38-28-30-34-33-26)
21 ------ სალუქვაძე ლევან ვალერიანის ძე ---------- 253(31-23-33-42-15-36-21-36-42-33-0)
22 ------ სანიკიძე დავით შოთას ძე ---------- 252(31-33-25-33-18-44-28-44-39-28-23)
23-25 --- თევდორაძე ვარლამ გივის ძე ---------- 250(33-15-26-31-10-41-29-36-39-41-0)
23-25 --- ფაცია გიორგი მურმანის ძე ---------- 250(31-25-39-30-13-36-37-33-33-41-26)
23-25 --- ჯორბენაძე სერგი სანდროს ძე ---------- 250(34-28-31-31-15-0-20-43-45-38-18)

# საქართველოს ჩემპიონატი

18 ნოემბერი, ვერის ბაღი

**მაკაბი 82:96 დინამო**

21:26, 25:21, 11:26, 25:23

**მაკაბი:** ნინოშვილი (14), წოწელია (18), ვაშაკიძე (21), ფიცხელაური (9), სუხიშვილი (12); კოჯარია (6), კაშია
**დინამო:** ქლენტი (9), ხოშტარია (22), ტულუში (25), მინაშვილი (16), ჩუბინიძე (6); ბეჟანიშვილი (11), გამყრელიძე, ლოსაბერიძე (3), კეიდია (4)
**მსაჯები:** ზურაბ ანდრიაძე, დავიდ ლოლიშვილი
**კომისარი:** თენგიზ ქიქოძე

**ქუთაისი 73:89 სსუ**

14:18, 21:27, 21:27, 17:17

**ქუთაისი:** ბადრიძე (16), პირტახია (17), შავლაყაძე (11), შანიძე (2), კორძაძე (13); აკოლაშვილი, ცერცვაძე (7), კოლუაშვილი (7), მამისეიშვილი, ფურცხვანიძე
**სსუ:** პატარაია, სორდია (23), კანკია (12), ერქვანია (18), აბულაძე (20); ზანგურაშვილი (4), ქვილითაია (3), ონიკაშვილი (4), ლუკავა (5)
**მსაჯები:** მაკა კუპატაძე, ხათუნა გაბედავა
**კომისარი:** როლანდ ხომერიკი

18 ნოემბერი, ბათუმი

**ბასკო 92:53 რუსთავი**

## ურთვარის შეუპოვრობა
### ჩემპიონმა ნახევარჩემპიონს სძლია

**„მაკაბის“** მწვრთნელი ჯამლეტ ხუხაშვილი გუშინ „დინამოს“ თავკაც დრაჟენ ბრაიკოვიჩთან საუბარში თავს იწონებდა, ჩემპიონი გუნდი მყავს, ოღონდ პირველი ტაიმების მიხედვითო. საქმე საქმეზე რომ მიდგეს, „მაკაბი“ ამ საქმეში მთლად ყველას ნაღდად ვერ აჯობებს, ისე კი ხუხაშვილის გუნდი მართლაც ყოჩაღად თამაშობს პირველ ტაიმებს და თუ ამას დამარცხება ჰქვია, მატჩის საწყის 20 წუთში არაერთი ბობოლაც დაუმარცხებია.

რაღა შორს წავიდეთ, „დინამოსთან“ გუშინდელმა მატჩმაც გამოაჩინა მაკაბელთა საპირველტაიმო შეუპოვრობა. მართალია, ხუხაშვილის სამწყსომ ტაიმი ბოლო წამებზე დათმო კინკილა ქულით, მაგრამ მატჩის დებიუტში 0:10 ჩამორჩენის შემდეგ მაინც მოახერხა ძლიერი მეტოქის გადასწრება.

დინამოელებმა თავიდანვე უკანა ხაზიდან შეუტიეს და საბოლოოდაც ამ სათამაშო რგოლის აქტიურობით იმარჯვეს, ფარქვეშ კი „მაკაბი“ მძლავრობდა. ლადო სუხიშვილი და გივი ვაშაკიძე არ უშინდებოდნენ ჩემპიონ მეფარეებს და „მაკაბიც“ ძირითადად სამწამიანი ზონიდან ხეირობდა.

ბრაიკოვიჩმა მეორე მეოთხედში მოედნიდან ძირითადის ხალხი გაიხმო და სამარქაფოებმა ველარ შეაკავეს ალტკინებულ მაკაბელთა მიძალება. სუხიშვილს ფარზე ფიცხელაურმაც წააშველა ხელი, აქეთ წოწელიამ იჩუბინა და „მაკაბი“ ტაიმის დასრულებამდე 2 წუთით ადრე 42:39 დაწინაურდა. ბრაიკოვიჩმა უმალ გამოცდილებს უხმო მოედანზე და „დინამომ“ ძლივს მოახერხა, დიდი შესვენების წინ დაწინაურდა.

გასახდელში ბრაიკოვიჩმა ალბათ ერთი-ორი „ტკბილი სიტყვა“ უთხრა შეგირდებს და „დინამომაც“ მესამე მეოთხედში ბდღვირი ადინა „მაკაბის“.

გუშინდელი დღის მეორე მატჩი წესით უფრო საინტერესო უნდა ყოფილიყო, თანაბარი კალიბრის სსუ და „ქუთაისი“ თამაშობდნენ. დასაწყისში მართლაც თანაბარი ბრძოლა გაჩაღდა, „ქუთაისი“ 4 ქულითაც დაწინაურდა, მაგრამ შემდეგ სოხუმელებმა სასტიკი შტურმი მოუწყვეს იმერლებს, სამწუთიანი მონაკვეთი 17:0 მოიგეს და საქმე აღარ გაუმრუდებიათ.

**ირაკლი პერტაია**



დინამოელი არჩილ ქლენტი მაკაბელ იოსებ ნინოშვილს გაურბის

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

## ზაზა ფაჩულიას შემყვანი შეუცვალეს

17 ნოემბერი

**დალასი 105:98 პორტლენდი**
**დალასი:** ნეში (14 ქულა, 12 პასი, 10 მოხსნა), ფინლი (25), უოლკერი (14), ნოვიცკი (20), ფორტსონი (4); ჯემისონი (20), ნახერა (6), ბესტი (2), ჰოვარდი
**პორტლენდი:** სტუდემაიერი (5), ველსი (14), ვოლესი (31), რენდოლფი (25 ქულა, 19 მოხსნა, 6 პასი), დევისი (5); მაკინისი (9), კეროლი (7), სტეფანია (7 წუთი, 2 ქულა, 3 მოხსნა, 1 ჩაჭრა), ვუდსი

**იუტა 90:88 ორლანდო**
**იუტა:** აროიო (16), სტივენსონი (10), ჰარპრინგი (14 ქულა, 19 მოხსნა), კირილენკო (25 ქულა, 10 მოხსნა), ოსტერტაგი (10); ბელი (4), ბორჩარდი (3), ლოპესი (3), კოლინზი (3), პავლოვიჩი (2)
**ორლანდო:** ლუ (6), ბოგანსი (2), მაკგრეიდი (29), გუდენი (8), ჰანტერი (4); ჰოვარდი (21), გირიჩეკი (12), დიალი (5), გეინისი (1), ჰარვი, დეკლერკი
*ფაჩულია სათადარიგო იყო*

**ფილადელფია 66:74 ჰიუსტონი**
**ფილადელფია:** აივერსონი (15)
**ჰიუსტონი:** მობლი (19)

**ნიუ იორკი 89:86 ბოსტონი**
**ნიუ იორკი:** ჰიუსტონი (26)
**ბოსტონი:** ბეიკერი (20), პირსი (17)

**ატლანტა 97:106 ვაშინგტონი**
**ატლანტა:** ტერი (25), აბდურ-რაჰიმი (20)
**ვაშინგტონი:** ჰიუზი (26), არენასი (23)

თუ გუნდი გაუთვებლად აგებს, მწვრთნელი უნდა შეიცვალოს, ამას ითხოვს ნბა-ს და არა მარტო ნბა-ს დაუწერელი კანონი. ამერიკელები ცდილობენ, ყურადღება არ მიაქციონ ასეთი „აჭრილი“ მწვრთნელის ძველ დამსახურებებს — აგებს და მორჩა, უნდა წავიდეს.

„ორლანდო მეჯიქის“ ხელმძღვანელებმა ერთი-ორი კვირა აცალეს დოკ რივერსს და ბოლოს და ბოლოს სოლტ ლეიკ სიტიში „იუტასთან“ მარცხის შემდეგ — რაც „მეჯიქისთვის“ ზედიზედ მეათე ამსეზონური შერცხვენა იყო — გუნდიდან დაითხოვეს.

„ორლანდოს“ ასე ცუდად (ერთი გამარჯვების წილ 10 წაგება) 15-წლიან არსებობაში არ დაუწყია სეზონი. ასე პანტაპუნტით ამ სამი წლის წინაც არ აგებდა, როცა იმხანად ნებისმიერ აუტსაიდერზე ორჯერ უარესი შემადგენლობა ჰყავდა. სწორედ მაშინ 1999-2000 წლების სეზონში მივიდა რივერსი „მეჯიქში“ და ცხრილის ფსკერის ხეხვისთვის განწირულ გუნდს 82 თამაშიდან ზუსტად ნახევარი მოაგებინა. „ორლანდოს“ მაშინ სულ ერთი გამარჯვება დააკლდა პლეი ოფში სასწაულებრივ გასვლამდე, ხოლო რივერსი სეზონის მწვრთნელად დაასახელეს.

ამ სეზონში კი რივერსის პოპულარობა წაგებულ თამაშებს გაჰყვა და ბოლოს თავადაც გაუშვეს. ეს ჭკვიანი ზანგი „ორლანდოსთვის“ უკვე წარსულია და გაფუჭებული საქმის გამოსწორებას დროებით მისი მთავარი ასისტენტი ჯონი დევისი ითავებს. დევისს მთავარ მწვრთნელობის ერთწლიანი გამოცდილება აქვს. ის 1996-97 წლების სეზონში „ფილადელფია სიქსერზში“ მუშაობდა და ალენ აივერსონის პირველი მწვრთნელი იყო ნბა-ში.



დოკ რივერსს ზედიზედ ათი მარცხი არ შეარჩინეს

რას და როგორ შეცვლის დევისი ამ თავგზადაკარგულ გუნდში, დღეს ძნელი სათქმელია. შესაძლოა, მან მეტი ყურადღება დაუთმოს ახალბედებს, შესაძლოა, საერთოდ არ შეიყვანოს ისინი „ორლანდოს“ გადარჩენის მოკლევადიან გეგმაში — ამ გეგმას კი აუცილებლად მოსთხოვენ გუნდის ბოსები. სავარაუდოდ, ის მაინც უფრო გამოცდილებს დაეყრდნობა, რაკი დროებით ჩააბარეს მთავარი მწვრთნელის პოსტი და დევისი მომავალზე არ გააკეთებს გათვლებს.

მიეცემა თუ არა ზაზა ფაჩულიას მეტი სათამაშო დრო, ჩვენ ეს უფრო გვაინტერესებს. გუშინწინ „იუტასთან“ ზაზა ერთადერთი იყო „ორლანდოს“ 12 კაციდან, ვინაც სკამზე დაიწყო და დაამთავრა თამაში.

**კოტე ყორშია**

## უფროსობამ ნბა დახლიჩა

**ეროვნული** საკალათბურთო ასოციაციის მმართველთა საბჭომ დაამტკიცა დივიზიონებში გუნდების გადანაწილების ახალი სქემა. ნბა-ს 30 გუნდი 2004-05 წლების, ანუ მომავალი სეზონიდან ოთხის ნაცვლად ექვს დივიზიონში გადანაწილდება. სწორედ 30, რადგან სადღეისოდ 29 მოქმედ გუნდს ამ სეზონის შემდეგ 30-ე „შარლოტ ბობქეთსი“ შეუერთდება.

ნბა-ს გამგებლებმა ეს სისტემა ჰოკეის ეროვნული ლიგიდან (ნჰლ) გადმოიხატეს. ლიგა ძველებურად გაიყოფა ორ — აღმოსავლეთ და დასავლეთ ნახევრებად ანუ კონფერენციებად. ოღონდ თითო კონფერენცია (15-15 გუნდი) თავის მხრივ დაიყოფა არა ორ, არამედ სამ-სამ დივიზიონად (თითო დივიზიონში 5-5 გუნდი).

გუნდები თანადივიზიონელებს რეგულარულ სეზონში ოთხჯერ შეხვდებიან, თანაკონფერენციელებს სამჯერ ან ოთხჯერ, ხოლო სხვა კონფერენციელებს ორჯერ. პლეი ოფში ძველებურად 8-8 გუნდი გავა თითო კონფერენციიდან. კონფერენციაში დივიზიონების შედეგები კვლავ გაერთიანდება. დივიზიონების ლიდერები ყველა შემთხვევაში მიიღებენ პლეი ოფის საგზურს, იმის მიუხედავად, მოხვდებიან კონფერენციის რვა რჩეულს შორის თუ არა.

აღსანიშნავია, რომ „ნიუ ორლეანი“ ამ სისტემის მიხედვით დასავლეთში გაანაწილეს. ვინაიდან აღმოსავლეთში უკვე არის 15 გუნდი, ხოლო ნბა-ს 30-ე წევრი „შარლოტ ბობქეთსი“ აუცილებლად აღმოსავლელი უნდა იყოს.

### მომავლის დივიზიონები

**აღმოსავლეთი**

**ატლანტიკა** — ბოსტონ სელტიქსი, ნიუ იორკ ნიქსი, ნიუ ჯერსი ნეთსი, ფილადელფია სიქსერზი, ტორონტო რეპტორზი
**ცენტრალური** — ჩიკაგო ბულზი, მილუოკი ბაქსი, ინდიანა პეისერზი, დეტროიტ პისტონზი, კლივლენდ კავალიერზი
**სამხრეთ-აღმოსავლეთი** — ატლანტა ჰოქსი, შარლოტ ბობქეთსი, მაიამი ჰითი, ორლანდო მეჯიქი, ვაშინგტონ ვიზარდსი

**დასავლეთი**

**სამხრეთ-დასავლეთი** — დალას მავერიკსი, ჰიუსტონ როკიტსი, სან ანტონიო სპურზი, მემფის გრიზლიზი, ნიუ ორლეან ჰორნეთსი
**ჩრდილო-დასავლეთი** — მინესოტა ტიმბერვულვზი, დენვერ ნაგიტსი, იუტა ჯაზი, სიეტლ სუპერსონიქსი, პორტლენდ თრეილბლეიზერსი
**წყნარი ოკეანე** — გოლდენ სტეიტ ვორიორზი, საკრამენტო კინგზი, ლოს ანჯელეს ლეიკერსი, ლოს ანჯელეს კლიპერსი, ფინიქს სანზი



# მშვიდი და თვინიერი დამრტყმელი

## ჯონი უილკინსონის ერთადერთი ნამდვილი სიყვარული ტუალეტის რულონში ჩაისახა



*დამდევ შაბათს მსოფლიოს სარაგბო თასის ფინალში ავსტრალიელებთან საბულრაოდ გასულ ჯონი უილკინსონს ჰალალად შეეძლება თქმა — ბავშვობის ოცნება ამიხდაო. პიტ-მოყმის იერისა და მოკრივის ალნაგობის მქონე ეს ჩუბინი მორაგბე ნესვა ბურთს ხომ, არც მეტი, არც ნაკლები, ოთხი წლიდან დასდევს*

უილკინსონმა ზედ ავსტრალიაში გამგზავრების წინ მოიგონა: „კარგად დარტყმა რომ შემეძლო, პირველად შვიდი წლისამ გავიაზრე. მივხვდი, რომ ამის კეთება ყველაზე მეტად მსიამოვნებდა. მალე გუნდის საუკეთესო დარტყმელადაც ვიქეცი."

შაბათის მატჩი 24 წლის ჯონისთვის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი შეხვედრა იქნება.

მილიონობით ქომაგი მას ტელევიზორთან მოუთმენლად დაუჭერს მხარს, ათასობით ბედნიერი კი, რომელთა შორის მისი მშვენიერი მეგობარი გოგო, მსახიობი დაიანა სტიუარტიც უნდა იყოს, მას „ტელსტრა სტედიუმის" ტრიბუნებიდან შეაგულიანებენ.

თუკი მისი ფეხი ინგლისს გამარჯვებას მოუტანს, ჯონს გარანტირებული ექნება ზევარსკვლავის სტატუსი და მრავალმილიონგირვანქიანი მომავალი...

ყველაფერი კი ტუალეტის ქაღალდის რულონებით იწყებოდა, რომლებსაც ციცქნა ჯონი თურმე იმ დრომდე უკლაკუნებდა, სანამ ბურთის დაჭერას შეძლებდა.

მას თურმე ისე უყვარდა რაგბი, რომ სავარჯიშოდ და ოფლის სადვრელად როდესმე არც საშობაო არდადეგები დანანებია.

მამამისი ფილი, 50 წლის ყოფილი მორაგბე, რომელიც ამჟამად ვაჟის მენეჯერიც გახლავთ, ასე იგონებს: „ჯონის ყოველთვის რაგბით ედგა სული, მანამდეც კი, სანამ დაიბადებოდა — მასზე ფეხმძიმე დედამისს ხომ ჩემი არც ერთი მატჩი არ გაუცდენია."

„პირველივე, რაც ბოიმ გაჩენისთანავე დაინახა, რაგბის ბურთი იყო. ამ ბურთთან საარშიყოდ ის ტუალეტის ქაღალდის რულონებზე გლაჯუნით ემზადებოდა, რასაც ჩემი ცოლი ფილიპა, ცხადია, ყველანაირად მხარს უჭერდა!"

ჯონი ანუ ჯონათან პიტერ უილკინსონი საფინანსო საქმეთა მრჩეველ ფილსა და საგრაფოს მესქვოშეთა ნაკრების წევრ ფილიპას 1979 წლის 25 მაისს შეეძინათ.

ფარნჰემის შვიდ და რვაწლამდელთა გუნდში ის მართლაც უკვე ოთხი წლიდან თამაშობდა.

ბიზნესმენი ჯონ ფერლი (55), ვინაც თავის დროზე ჯონის მწვრთნელი იყო, ამბობს, რომ ოთხი წლის ლაპურწაკიც კი თავისზე ორჯერ უფროს ბიჭებს უშიშრად და შეუპოვრად ერკინებოდა.

„ჯონი თორმეტის იყო, ჩვენთან ადგილობრივი ტელევიზიიდან რომ მოვიდნენ — იგონებს ფერლი — ვინმეს გადაღება გვინდაო, მითხრეს. მე უმალვე ჯონის მოვუხმე, მიდი, აჩვენე, როგორ ურტყამ-მეთქი. „პირველი ბურთი მან მარცხენა ფეხით გაიტანა, მეორე — მარჯვენით. ეს მართლაც საოცრება იყო. იმ ასაკისასაც კი უკვე თავისუფლად შეეძლო ორივე ფეხით დარტყმა. ტელევიზიის ბიჭები მას პირდაღებულები უყურებდნენ."

სანიმუშო ყოფაქცევის ჯონი გაუგებრობებსა და უსიამოვნებებში თურმე არასოდეს ხვდებოდა. მასთან ერთად ექვსიდან თექვსმეტ წლამდე მობურთალი ალისტერ ფერლი, ჯონის ბიჭი, ერთ გამონაკლის შემთხვევას იხსენებს: „ერთხელ მათთან, მამასისის მიერ ნალოლიავებ კორდზე ვთამაშობდით. ჯონიმ გადაწყვიტა, საქმე გაერთულებინა და კორდი ზედმეტად დაასველა. ჩვენი ბლარძუნის შემდეგ ბალახი ერთიანად გაიჯეგა და რაღაც ტალახიან წუმპეს დაემსგავსა. ჯონი მართლაც ძალიან შეწუხებული იყო, იცოდა, რომ მამამისი მაგრად დატუქსავდა. ეგ იყო და ეგ — სხვა დროს ის რაიმე გაურკვევლობაში რომ მოხვედრილიყო, მე არ მახსოვს."

„ის რაგბის გიჟი იყო — ამატებს ალისტერი — როცა არ უნდა დამერეკა, სულ ამას მეუბნებოდა, „ბუცებს ხომ წამოიღებ, დარტყმაში რომ გავივარჯიშოთ?!" დარტყმას ის მართლაც საათობით ხვეწდა ხოლმე."

ქერუბიმივით სახემა და ქერა თმებმა ჯონი მალე გოგონათა მურაზადაც აქცია. „ჰო, ის მართლაც ყოველთვის კარგად გამოიყურებოდა, ისევე როგორც ყოველთვის საუცხოო სპორტულ ფორმაში იყო" — ამბობს ალისტერი.

„გოგონები მუდამ გარს ეხვეოდნენ, მაგრამ ამურულ საქმეებს ის მშვიდად და ჩუმად აყომარებდა. გამორჩეული მეგობარი გოგონა თითქოს არ ჰყოლია — ყოველ შემთხვევაში ჩვენ ეს არ ვიცოდით."

რადგანაც ღვთით მომადლებულ ნიჭს ჯონი საათობით და დაულალავად ამრავლებდა, მისი კარიერაც აღმავლობის გზით მიდიოდა. უკვე 12 წლისას მას პატივი ერგო, ინგლისური რაგბის მექაში თვიქნემში მოწყობილ სალაღაბო მატჩში ემონაწილევა.

„ყმაწვილობისას მშობლებს ვაგიჟებდი — იგონებს ის — ერთხელ, თექვსმეტი წლის ვიყავი, დარტყმაში ხუთი საათი რომ ვივარჯიშე. დედამ, რომელიც იქვე, ბაზაზე მელოდებოდა, რამდენჯერმე დამიძახა, შინ წასვლის დროაო. მაგრამ მე ჯერ კიდევ არ მაკმაყოფილებდა ჩემი ტექნიკა და ვთხოვე, ცოტაც დაეცადა... ის კიდევ საათნახევარი მელოდა. ამდენი დამჭირდა საიმისოდ, რათა ჩემი დარტყმით კმაყოფილი დავრჩენილიყავი."

ეროვნულ ნაკრებში თამაშზე ის უკვე 12 წლიდან ოცნებობდა. თავადაც კარგად ახსოვს, თუ როგორ უთხრა ერთხელ თავის მწვრთნელ მეტ პეინს: „მინდა, ოდესმე ნაკრებში ვითამაშო — ეს არის ერთადერთი, რაც მე მინდა."

და ის საათობით აწვალებდა მისტერ პეინს და თავადაც წვალობდა, რათა დარტყმა იდეალურობამდე სრულეყო. საათი შუადღეზე და ორი საათიც სკოლის შემდეგ — აი, ასეთი იყო მათი ყოველდღიური განრიგი.

სკოლაში ის რაგბის გარდა კრიკეტს, ჩოგბურთსა და კალათბურთსაც მისდევდა. მეტ პეინი იგონებს: „ის ძალზე მიზანდასახული ბიჭი იყო. ნაკრებში თამაშზე ოცნებობდა და ამ ოცნების განსახორციელებლად არაფერს იშურებდა. მე არ ვიცოდი, რას უნდა შეეშალა მისთვის ხელი, ეს ოცნება ვერ ალესრულებინა."

სკოლის მერე ჯონი ლორდ უონდსუორტის კოლეჯში სწავლობდა. ის უკვე თექვსმეტისა იყო და ქალებიც მის ცხოვრებაში სულ უფრო დიდი ადგილის დაკავებას ცდილობდნენ. მაგრამ მას ერთხელაც არ უღალატია თავისი პირველი და უმთავრესი სიყვარულისთვის — რაგბისთვის.

მისი იმდროინდელი ძმაკაცი დანკან უაიტი ჰყვება, რომ — „მიუხედავად მისდამი გოგონათა დიდი ინტერესისა, სერიოზული შური-მური მას არავისთან გაუბამს."

კოლეჯში ჯონიმ ყველაზე უკეთ ფრანგული, ბიოლოგია და ქიმია დაამულამა და მერე დარჰემის უნივერსიტეტში გადაინაცვლა. მაგრამ მალე მან სტუდენტობას პროფესიული მორაგბეობა არჩია და 1997 წელს „ნიუკასლ ფალკონსის" წევრი გახდა.

მომდევნო წელს 18 წლის ჯონიმ ეროვნული ნაკრების მაისურაც მოირგო და შეიქნა ბოლო 71 წლის განმავლობაში ამის მიმღწევი უმრწემესი ინგლისელი.

2001 წლიდან ის უკვე ქვეყნის ყველა დროის მთავარმექულეა — იმავე სეზონში ის მსოფლიოს წლის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს.

მიუხედავად დიდებისა, ჯონი თავისზე წლით უფროს ძმა მარკთან ერთად ჩრდილოალმოსავლეთში, ერთ მოკრძალებულ სახლში ცხოვრობს. გზებზე ვერცხლისფერი მერსედესით გადაადგილდება. როცა მოიწყენს, ან კინოში მიდის, ან გიტარაზე უკრავს, ანაც გოლფს თამაშობს.

მართალია, პირადი ცხოვრებისთვის ისევ ცოტა დრო რჩება, მაგრამ უკვე ორი წელია, თავისკბილა დაიანასთან საურთიერთოდ მაინც იცლის ხოლმე.

ჯონის წლიური ხელფასი 250 ათასი გირვანქაა და ორი ამდენიც მას „ადიდასისა" და სხვა ფირმებიდანაც შესდის. მაგრამ თუკი ის შაბათს ინგლისს ავსტრალიასთან მოაგებინებს, მეყსეულად იქცევა ქვეყნის ეროვნულ გმირად და მილიონერად.

ეს ალბათ არ უნდა იყოს ცუდი პერსპექტივა ბიჭისთვის, ვისაც კარიერას ტუალეტის ქაღალდის რულონებზე გლაჯუნით იწყებდა.

**ლევან ძელაურაძე**





# ტვინი კომპიუტერსაც ერევა

## კასპაროვმა მანქანა დააჩლუნგა



„**ვერ გამიგია,** როგორ ხდება, რომ კომპიუტერი მომენტში ჯერ ძლიერად თამაშობს, შემდეგ კი რაღაც სულელურ სვლებს აკეთებს" — განაცხადა ფრანგმა დიდოსტატმა ჟოელ ლატიემ, როდესაც ნიუ იორკში კასპაროვსა x3d fritz-ს შორის მესამე პარტია იხილა. გარი კასპაროვი ჭკვიან კომპიუტერულ პროგრამას თეთრი ფიგურებით ეთამაშებოდა და დიდი უპირატესობითაც მოუგო.

პარტია მეტოქეებმა მხედრებით დაიწყეს და ცენტრის დასაპყრობად პაიკები გაგზავნეს. კასპაროვმა იერიში მარცხენა ფლანგზე გადაიტანა, 12-ე სვლაზე კი მანქანას წინ ხუთპაიკიანი კედელი აუსვეტა და სამოძრაო გზები შეუკრა.

თამაში თანდათან ჩაიკეტა, რადგან ორივე მხარე მხოლოდ ფიგურების მობილიზებაზე გადაერთო და იერიშებისთვის ვერცერთი იცლიდა. ასეთ დროს კი სტრატეგიულად უკეთ მოაზროვნე ადამიანმა იძალა, ჭკვიან პროგრამას გასაქანი არ მისცა და 45-ე სვლაზე ხელიც ააწევინა.

„კასპაროვმა ბრწყინვალედ ითამაშა, მან კომპიუტერს მთავარი, გამოთვლითი სიმძლავრე მოუსპო" — აღნიშნა ფირმა „x3d"-ს მთავარმა კონსულტანტმა ჯონ ფერნანდესმა.

თვითონ კასპაროვი კი ნამატჩევს, რა გასაკვირია და, მშვენიერ ხასიათზე იყო და იქადნებოდა, აი, ნახავთ ბოლო, მეოთხე პარტიაში კომპიუტერს რას ვუზამო.

ახლა ანგარიში საყაიმოა 1,5:1,5 და ყველაფერი დღეს ღამით, მეოთხე შეხვედრაში გაირკვევა. გამარჯვების შემთხვევაში კასპაროვი ჯილდოდ 200 ათასს დოლარს მიიღებს, ხოლო თუ წააგო, 50 ათასით ნაკლებს.

**ლაშა გეგეჭკორი**



# ასანიძე უკრაინაში ბრუნდება

*სიდნეის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორ გიორგი ასანიძეს ათენში მოხვედრის ბოლო იმედად აპრილში გასამართი ევროპის ჩემპიონატიღა რჩება. მსოფლიოს პირველობა კი ვანკუვერში ამ 4 დღის წინ დაიწყო და შარშანდელ ვიცე-ჩემპიონს იქ წასვლაში ხელი უმძიმესმა ტრავმამ შეუშალა. იძულებითმა შესვენებამ ასანიძეს კიდევ უფრო გაუმძაფრა გამარჯვების წყურვილი და ჯერაც ულიცენზიო უკვე ოლიმპიურ წარმატებაზე ფიქრობს*

— შარშან ნოემბერში ვარშავაში ჩატარებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე მიღებულმა მხრის ტრავმამ მთელი წლევანდელი სეზონი გამაცდენინა. წლის დასაწყისში მოსკოვში, მირონოვის კლინიკაში ურთულესი ოპერაცია გადავიტანე. დიდი შანსი იყო, კარიერა ნაადრევად დამესრულებინა, მაგრამ, საბედნიეროდ, ყველაფერმა კარგად ჩაიარა და სულ ახლახან ვარჯიშიც დავიწყე. ჯერჯერობით დიდ დატვირთვებს ვერიდები, რადგან ტკივილებს მაინც ვგრძნობ.

**— ფორმაში ჩასადგომად რამდენი ხანი დაგჭირდება?**

— სიმძიმეებს ეტაპობრივად შევეჩვევი და ალბათ აპრილში, ევროპის ჩემპიონატისთვის სრულ მზადყოფნაშიც ვიქნები. თუმცა ამ ტურნირიდან ოთხ თვეში, მოგეხსენებათ, ოლიმპიური თამაშებია და თუ საჭირო იქნება, ეგებ ენერგია დავზოგო კიდეც.

**— მაგრამ, ჯერ ხომ ლიცენზიაც არ აგიღია...**

— თუ ევროპის ჩემპიონატზე სრული გუნდით წავალთ, ორი ლიცენზიის აღება უნდა მოვახერხოთ. მთავარია, მანამდე კარგად მოვემზადოთ და პირველობას მაქსიმალურად მობილიზებულნი შევხვდეთ.

**— ორი ლიცენზიის ასაღებად რა შედეგი იქნება ევროპის ჩემპიონატზე საჭირო?**

— ძალოსნობაში ოლიმპიურ საგზურებს გუნდური შედეგის მიხედვით იძლევიან. აქედან გამომდინარე, უკრაინაში გუნდურ პირველ-მეორე ადგილზე გასვლა დაგვჭირდება.

**— ბოლო სალიცენზიო ტურნირზე ასეთი წარმატების მიღწევა ცოტა ძნელი ხომ არ იქნება?**

— რა თქმა უნდა, მაგრამ ნურც ის დაგვავიწყდება, რომ ქვეყნები, რომლებიც მსოფლიოს ჩემპიონატზე სამ და მეტ ლიცენზიას მოიპოვებენ, ევროპაზე სალიცენზიო ჩათვლას ავტომატურად გამოეთიშებიან.

**— ათენის საგზურების ძირითადი ნაწილი ვანკუვერში დარიგდება?**

— ოლიმპიურ თამაშებზე წამსვლელ ძალოსანთა ოთხ მეხუთედზე მეტი კანადაშივე გაირკვევა. საუკეთესო ექვსეულში მოხვედრილი გუნდები ექვს-ექვს ლიცენზიას მიიღებენ, მეშვიდე-მეთორმეტეზე გასულები ხუთს, მეცამეტე-მეთვრამეტე ადგილები ოთხს, მეცხრამეტე-ოცდამეოთხე სამს, ხოლო ოცდამეხუთე-ოცდამერვე ორს. გარდა ამისა, თითო ლიცენზია გადაეცემათ იმ ქვეყნებს, რომელთა ნაკრების ერთი სპორტსმენიც საერთო ჩათვლაში მსოფლიოს ჩემპიონატზე 15 საუკეთესოში მოხვედრას მოახერხებს.

**— არ იქნება, სამი ბულგარელის კანადურ დოპინგ-სკანდალზე არ გკითხო. მსოფლიოს ჩემპიონატიდან მოკვეთამ ხომ შეიძლება მთელი კონცენტრაცია ევროპაზე გადაატანინოთ, რაც ჩვენს წისქვილზე ვერ დაასხამს წყალს.**

— ბულგარეთს ძალიან ძლიერი ძალოსნები ჰყავს და ისინი ნებისმიერ ტურნირზე ფავორიტებად მიიჩნევიან. კონკურენციაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ასეთი დონის გუნდის დოპინგ-კონტროლზე ჩავარდნა თავისთავად არასასიამოვნო ფაქტია.

**— ბოლოს ისევ შენზე გკითხავ. ევროპის ჩემპიონატისთვის უკეთ მოსამზადებლად ვანო გრიქუროვთან პოლონეთში ვარჯიშს ხომ არ აპირებ?**

— ჯერ ზუსტად ვერ გეტყვით როდის, მაგრამ აპრილამდე გრიქუროვთან აუცილებლად ჩავალ. შეიძლება რამდენიმეჯერაც.

**— მძიმე ტრავმამ ძველი წარმატებების დაბრუნების პერსპექტივაში ხომ არ დაგაეჭვა?**

— პირიქით. იძულებითმა შესვენებამ შემმატა. თუ ისევ ჯანმრთელობამ არ შემიშალა ხელი, სხვა წინაღობას ვერ ვხედავ. ასე რომ, ათენში უმაღლესი მწვერვალის დასაპყრობად ჩავალ.

**ოთარ მაღლაკელიძე**



# სლოვაკის გამოყოფამ ჩეხს აარევინა

## იაგრს დედა, მამა და ქალი მოენატრა

**აი, სეზონის** პირველი დიდი სიურპრიზიც — „ვაშინგტონის" უხეირო გარჯა. დღესდღეობით დედაქალაქელები ბოლო ადგილს იყოფენ დაჩაჩანაკებულ „პიტსბურგთან" ერთად. ამის მთავარი მიზეზის გაშიფვრას დიდი ფილოსოფია არ სჭირდება, ყველაფერი დღესავით ნათელია — „კეპიტალსის" ლიდერი იარომირ იაგრის უფერული თამაში და გუნდის თავკაც ბრიუ კესიდისთან მისი დაძაბული ურთიერთობა. ჩეხი უკვე მესამე წელია, „ვაშინგტონშია", მაგრამ ვერა და ვერ შეეგუა დედაქალაქურ კლუბს.

ძნელი დასაჯერებელია, თუმცა ფაქტი ჯიუტია — ყველაზე ძვირადღირებული მოთამაშის (11 მილიონი წლიური ხელფასი აქვს) ანგარიშზე 18 მატჩში სულ 5 შაიბა და 9 პასია. ამაზე უფრო მნიშვნელოვანი მისი მყავე განწყობილებაა. იარომირი ყველგან და ყოველთვის გამოთქვამს თავის უკმაყოფილებას, რითაც უფრო ძაბავს კლუბში ვითარებას. თან გუნდის წაგებას ის არაადეკვატურად აღიქვამს მისთვის ფულის მიმცემთა ხედვით. მაგალითად, „მინესოტასთან" მარცხის (1:2) შემდეგ გასახდელისკენ მიმავალი იაგრი გულიანად იცინოდა და რაღაც მხიარულ ამბავს უყვებოდა ერთ-ერთ პარტნიორ რობერტ ლანგს. აშკარაა, რომ ასე გამოხატავს თავის პროტესტის გუნდის მთავარ მწვრთნელ ბრიუს კესიდისადმი და არც მალავს ამას თავის ინტერვიუებში. ახალგაზრდა და ლმობიერი კესიდი კი ვერ ახერხებს დაძაბულობის განმუხტვას. როგორც ჩანს, ერთ-ერთმა უნდა დატოვოს გუნდი. იაგრი არ არის გაცვლის წინააღმდეგი, მაგრამ, მისდა საუბედუროდ, ლოკაუტის მომლოდინე გუნდის თავკაცები ძალიან ძუნწობენ და არ სურთ ამ ძვირ მოთამაშეზე მილიონების დახარჯვა. იაგრის შეძენის ცდუნებას არ აჰყვა თვით „რეინჯერსიც" კი, რომელიც აქამდე მილიონებს ფლანგავდა. ასე რომ, „ვაშინგტონმა" იაგრის გაყიდვას ისევ კესიდის გათავისუფლება უნდა არჩიოს.

...თუმც იაგრის თურმე სხვა სევდაც უკოდავს გულს. ჩეხმა ერთ-ერთ ინტერვიუში გულახდილად აღიარა, რომ სატრფოსთან განშორებამ ძალიან დაანაღვლიანა. სუპერმოდელ „მის სლოვაკეთს", ანდრეა ვერესოვასთან კონფლიქტის შემდეგ თურმე ჭამის მადაც კი დაკარგა და აღარც რული ეკარება თვალზე. წონაშიც თითქმის 10 კილოგრამი დაიკლო.

ყველაფერთან ერთად იარომირი თურმე დიდი ბავშვიც ყოფილა. აქამდე მისი მშობლები ამერიკაში ცხოვრობდნენ, წლეულს კი ჩეხეთში მოუწიათ დარჩენა და... იაგრის დედიკო და მამიკო ძალიან მოენატრა.

**სამველ ლარიბიანი**



ასეთი გოგოს დაკარგვა იაგრს კი არა, ვის არ წაუხდენდა ხასიათს



### რეგულარული ჩემპიონატი

— 17 ნოემბერი —

**ოტავა 1:2 ბუფალო**

*0:0 0:0 1:2*

0:1 დიუმონი (42), 0:2 პატრიკი (42), 1:2 რედენი (45)

**აღმოსავლეთ კონფერენცია**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | | | | | |
| ფილადელფია | 16 | 10 | 3 | 1 | 2 | 52:31 | 24 |
| ნიუ ჯერსი | 16 | 9 | 4 | 0 | 3 | 40:28 | 22 |
| აილენდერსი | 16 | 8 | 2 | 0 | 6 | 51:40 | 18 |
| რეინჯერსი | 17 | 6 | 3 | 2 | 6 | 42:44 | 17 |
| პიტსბურგი | 16 | 4 | 3 | 0 | 9 | 31:58 | 11 |
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ბოსტონი | 17 | 10 | 3 | 2 | 2 | 47:34 | 25 |
| ტორონტო | 18 | 7 | 5 | 1 | 5 | 43:50 | 20 |
| ბუფალო | 18 | 8 | 2 | 1 | 7 | 39:48 | 19 |
| მონრეალი | 18 | 8 | 1 | 0 | 9 | 35:39 | 19 |
| ოტავა | 16 | 7 | 2 | 1 | 6 | 50:37 | 17 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ტამპა | 14 | 9 | 2 | 1 | 2 | 42:26 | 21 |
| ატლანტა | 19 | 8 | 3 | 1 | 7 | 53:52 | 20 |
| ფლორიდა | 19 | 7 | 2 | 0 | 10 | 41:49 | 16 |
| კაროლინა | 17 | 5 | 5 | 0 | 7 | 38:40 | 15 |
| ვაშინგტონი | 18 | 5 | 1 | 0 | 12 | 44:54 | 11 |

**დასავლეთ კონფერენცია**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ცენტრი** | | | | | | | |
| სენტ ლუისი | 16 | 11 | 0 | 1 | 4 | 42:34 | 23 |
| დეტროიტი | 18 | 9 | 2 | 0 | 7 | 55:46 | 20 |
| ჩიკაგო | 19 | 6 | 4 | 2 | 7 | 36:51 | 18 |
| ნეშვილი | 16 | 7 | 1 | 0 | 8 | 42:44 | 15 |
| კოლუმბუსი | 17 | 5 | 2 | 1 | 9 | 35:46 | 13 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | | |
| ვანკუვერი | 18 | 10 | 2 | 2 | 4 | 57:37 | 24 |
| კოლორადო | 17 | 10 | 1 | 1 | 5 | 56:43 | 22 |
| ედმონტონი | 17 | 8 | 2 | 0 | 7 | 50:51 | 18 |
| მინესოტა | 18 | 7 | 3 | 0 | 8 | 40:41 | 17 |
| კალგარი | 16 | 6 | 0 | 2 | 8 | 32:40 | 14 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | | |
| ლოს ანჯელესი | 16 | 8 | 1 | 1 | 6 | 44:38 | 18 |
| ანაჰაიმი | 18 | 7 | 1 | 3 | 7 | 38:46 | 18 |
| დალასი | 18 | 7 | 2 | 0 | 9 | 40:50 | 16 |
| ფინიქსი | 17 | 5 | 5 | 1 | 6 | 42:51 | 16 |
| სან ხოსე | 18 | 3 | 7 | 2 | 6 | 43:52 | 15 |


სამკურნალო გაერთიანება

„ლიგა"

დახმარება მსოფლიო სტანდარტების დონეზე

სექსოპათოლოგიის კლინიკა

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:
  პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.

ანონიმურობა დაცულია ტელ: 32 21 21

ვაქცინაციის ცენტრი

- ფართო სპექტრის მომსახურება „ავენტის-პასტერის" ვაქცინებით (საფრანგეთი-ლიონი)
  წინასწარი ჩაწერა ტელეფონით: 32-44-78

სამკურნალო-დიაგნოსტიკური გაერთიანება „ლიგა"
თბილისი 380086, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11, ტელ: 32 21 21; 32 21 15

# რაგბის ღვთისმშობლის ტაძარი



REUTERS

ამ სახელის მქონე ტაძარს (და ფრანგულად ეს ასე გამოითქმის — ნოტრ-დამ დიუ რაგბი) სამხრეთდასავლურ ფრანგულ ქალაქ ლარივიერში იხილავთ. რაგბის ღვთისმშობლის ტაძარში მორაგბეთა მიერ შეწირული მაისურები, ფოტოსურათები თუ სხვა რამ სამახსოვრო ნივთები ინახება, ხოლო ტაძრის ვიტრაჟზე რელიგიური თემები სარაგბო თემებთანაა შერწყმული. განსაკუთრებით ბევრი ხალხი ლარივიერულ საწმიდარს ამ დღეებში ჰყოლია — ფრანგები მათი ნაკრებისთვის ლოცულობდნენ, რომელმაც ამის მიუხედავად ავსტრალიაში მიმდინარე მსოფლიო თასის ნახევარფინალში ინგლისთან 7:24 დათმო.





REUTERS

# რონალდო სამშობლოში

წინა კვირა რონალდომ სანაკრებო შეკრებაზე გაატარა ტერესოპოლისში, 100 კილომეტრში რიოდან. სწორედ იქ მოინახულეს ის დედამისმა სონია ნაზარიომ და ძმიშვილებმა — კაიუ ლუსმა და ამანდამ.

# ვერ აზიდა

ვანკუვერი ძალოსნობაში მსოფლიო ჩემპიონატს მასპინძლობს. ეს რაღაცნაირტკენი ქალი ჩინელი მინჯუან ვანია და რაღაცა მან მაშინ იტკინა, როცა ამაოდ სცადა 115-კილოგრამიანი სიმძიმის აზიდვა.




REUTERS



REUTERS

# ნამარათონევს

ამ მობილურით მოლაპარაკე ქალს სულაც არ ეტყობა, რომ ეს-ესაა ტოკიოურ მარათონშიირბინა და თანაც ფინიშთან ყველას მიუსწრო. არადა, ეგ მართლაც ეგრეა — უბრალოდ, ეთიოპიელი ელფენეშ ალემუსთვის სირბილი ისეთივე ბუნებრივი ამბავია, როგორც სხვებისთვის მობილურით მუსაიფი.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქროპირიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია აბულელიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კუთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208
ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge